

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „და“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის მე-7, მე-8, მე-9, მე-10 პუნქტებისა და 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განიხილა რა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დანართი N1-ის შესაბამისად.

(დანართი N1 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართი N2-ის შესაბამისად.

(დანართი N2 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 3. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 27 დეკემბრის საკრებულოს N79 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 30.12.2023, №190020020.35.123.016671)

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1-ლი იანვრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2024 წლის -----

№-- დადგენილების დანართი № 1

თ ა ვ ი I

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1.	შემოსავლები	95970.6	117164.6	96530.4	0.0	96530.4
2.	გადასახადები	67917.7	73310.8	79278.0	0.0	79278.0
3.	გრანტები	14161.6	27293.8	312.4	0.0	312.4
4.	სხვა შემოსავლები	13891.3	16560.0	16940.0	0.0	16940.0
5.	ხარჯები	88989.8	101935.0	101020.1	0.0	101020.1
6.	შრომის ანაზღაურება	39947.5	45482.5	51199.5	0.0	51199.5
7.	საქონელი და მომსახურება	21485.0	25236.8	26458.7	0.0	26458.7
8.	პროცენტი	2748.8	2255.5	1377.8	0.0	1377.8
9.	სუბსიდიები	8673.0	11658.6	11207.3	0.0	11207.3
10.	გრანტები	260.7	85.0	60.0	0.0	60.0
11.	სოციალური უზრუნველყოფა	6530.1	7684.2	7573.0	0.0	7573.0
12.	სხვა ხარჯები	9344.7	9532.4	3143.8	0.0	3143.8
13.	საოპერაციო სალდო	6980.8	15229.6	-4489.7	0.0	-4489.7
14.	არაფინანსური აქტივების ცვლილება	14090.1	22941.1	-8487.9	0.0	-8487.9
15.	ზრდა	24853.5	44941.1	3512.1	0.0	3512.1
16.	კლება	10763.4	22000.0	12000.0	0.0	12000.0
17.	მთლიანი სალდო	-7109.3	-7711.5	3998.2	0.0	3998.2
18.	ფინანსური აქტივების ცვლილება	-10977.5	-11641.2	0.0	0.0	0.0
19.	ზრდა	12550.6	0.0	0.0	0.0	0.0
20.	აქციები და სხვა კაპიტალი	12550.6	0.0	0.0	0.0	0.0
21.	სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22.	კლება	23528.1	11641.2	0.0	0.0	0.0
23.	სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
24.	ვალდებულებების ცვლილება	-3868.2	-3929.7	-3998.2	0.0	-3998.2
25.	ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

26.	საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
27.	საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
28.	კლება	3868.2	3929.7	3998.2	0.0	3998.2
29.	საშინაო	3868.2	3929.7	3998.2	0.0	3998.2
30.	საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
31.	ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1.	შემოსულობები	106,734.0	139,164.6	108,530.4	0.0	108,530.4
2.	შემოსავლები	95,970.6	117,164.6	96,530.4	0.0	96,530.4
3.	არაფინანსური აქტივების კლება	10,763.4	22,000.0	12,000.0	0.0	12,000.0
4.	ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
5.	ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
6.	გადასახდებები	117,711.5	150,805.8	108,530.4	0.0	108,530.4
7.	ხარჯები	88,989.8	101,935.0	101,020.1	0.0	101,020.1
8.	არაფინანსური აქტივების ზრდა	24,853.5	44,941.1	3,512.1	0.0	3,512.1
9.	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
10.	ვალდებულებების კლება	3,868.2	3,929.7	3,998.2	0.0	3,998.2
11.	ნაშთის ცვლილება	-10,977.5	-11,641.2	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1.	შემოსავლები	95,970.6	117,164.6	96,530.4	0.0	96,530.4
2.	გადასახადები	67,917.7	73,310.8	79,278.0	0.0	79,278.0
3.	გრანტები	14,161.6	27,293.8	312.4	0.0	312.4
4.	სხვა შემოსავლები	13,891.3	16,560.0	16,940.0	0.0	16,940.0

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
11	გადასახადები	67,917.7	73,310.8	79,278.0	0.0	79,278.0
113	გადასახადები ქონებაზე	12,461.3	13,000.0	13,500.0	0.0	13,500.0
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	10,168.9	11,500.0	11,800.0	0.0	11,800.0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	287.2	0.0	0.0	0.0	0.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	770.6	100.0	500.0	0.0	500.0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	2.0	0.0	0.0	0.0	0.0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1,232.6	1,400.0	1,200.0	0.0	1,200.0
114	გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	55,456.4	60,310.8	65,778.0	0.0	65,778.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	55,456.4	60,310.8	65,778.0	0.0	65,778.0

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
13	გრანტები	14,161.6	27,293.8	312.4	0.0	312.4
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	570.9	2,422.2	0.0	0.0	0.0
132	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
133	სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	13,590.7	24,871.6	312.4	0.0	312.4
133111	მიმდინარე	300.0	3,312.4	312.4	0.0	312.4
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	300.0	312.4	312.4	0.0	312.4

1331113	სპეციალური ტრანსფერი	0.0	3,000.0	0.0	0.0	0.0
133112	კაპიტალური	13,290.7	21,559.2	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
14	სხვა შემოსავლები	13,891.3	16,560.0	16,940.0	0.0	16,940.0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	1,003.1	1,270.0	1,260.0	0.0	1,260.0
1412	დივიდენდები	35.1	50.0	10.0	0.0	10.0
1415	რენტა	373.5	420.0	450.0	0.0	450.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	247.3	300.0	300.0	0.0	300.0
14154	შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	126.2	120.0	150.0	0.0	150.0
14159	სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	6,236.6	7,800.0	8,500.0	0.0	8,500.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	5,638.8	7,100.0	7,800.0	0.0	7,800.0
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	14.0	0.0	0.0	0.0	0.0
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,077.8	1,100.0	1,100.0	0.0	1,100.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	3,570.2	4,200.0	4,200.0	0.0	4,200.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	974.3	1,800.0	2,500.0	0.0	2,500.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	597.8	700.0	700.0	0.0	700.0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	5,417.4	5,660.0	5,530.0	0.0	5,530.0
1431	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	5,099.7	5,300.0	5,200.0	0.0	5,200.0

1434	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	301.9	300.0	300.0	0.0	300.0
1439	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	15.8	60.0	30.0	0.0	30.0
144	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,234.2	1,830.0	1,650.0	0.0	1,650.0
144124	შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან	176.0	180.0	200.0	0.0	200.0
144127	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	455.1	300.0	150.0	0.0	150.0
1441299	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	603.1	1,350.0	1,300.0	0.0	1,300.0
14412994	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	317.2	500.0	300.0	0.0	300.0
144129999	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	281.6	850.0	1,000.0	0.0	1,000.0

მუხლი 7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1.	ხარჯები	88,989.8	101,935.0	101,020.1	0.0	101,020.1
2.	შრომის ანაზღაურება	39,947.5	45,482.5	51,199.5	0.0	51,199.5
3.	საქონელი და მომსახურება	21,485.0	25,236.8	26,458.7	0.0	26,458.7
4.	პროცენტი	2,748.8	2,255.5	1,377.8	0.0	1,377.8
5.	სუბსიდიები	8,673.0	11,658.6	11,207.3	0.0	11,207.3
6.	გრანტები	260.7	85.0	60.0	0.0	60.0
7.	სოციალური უზრუნველყოფა	6,530.1	7,684.2	7,573.0	0.0	7,573.0
8.	სხვა ხარჯები	9,344.7	9,532.4	3,143.8	0.0	3,143.8

მუხლი 8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
1.	არაფინანსური აქტივების ცვლილება	14,090.1	22,941.1	-8,487.9
2.	არაფინანსური აქტივების ზრდა	24,853.5	44,941.1	3,512.1
3.	არაფინანსური აქტივების კლება	10,763.4	22,000.0	12,000.0
4.	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	2,749.3	5,000.0	4,000.0
5.	შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან	88.1	0.0	0.0
6.	შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან	7,926.0	17,000.0	8,000.0

მუხლი 9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	16,481.2	19,801.3	17,056.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11,134.5	12,399.3	12,909.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,748.8	2,255.5	1,377.8
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2,597.9	5,146.5	2,769.2
704	ეკონომიკური საქმიანობა	13,274.7	18,091.4	4,120.0
7045	ტრანსპორტი	11,894.9	15,871.4	1,700.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,379.8	2,220.0	2,420.0
705	გარემოს დაცვა	10,593.9	15,008.4	11,820.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	7,147.0	7,815.0	9,350.0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	3,446.9	7,193.4	2,470.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	19,908.1	33,176.7	12,922.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1,896.1	2,821.1	50.0
7064	გარეგანათება	3,473.5	4,501.3	4,627.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	14,538.5	25,854.3	8,245.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	2,101.5	2,320.7	2,457.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	336.4	371.7	382.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,765.1	1,949.0	2,075.0

708	დასვენება, კულტურა და რელიგია	24,994.2	29,599.3	26,220.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	13,769.8	17,220.8	13,421.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	10,812.0	11,778.5	12,103.8
7083	ტელერადიომუშყეობა და საგამომცემლო საქმიანობა	145.5	200.0	200.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	266.9	400.0	495.0
709	განათლება	21,093.2	22,339.9	23,001.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	19,113.7	20,623.0	22,500.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1,979.5	1,716.9	501.0
710	სოციალური დაცვა	5,396.5	6,538.4	6,935.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	5,396.5	6,538.4	6,935.0
	სულ:	113,843.3	146,876.1	104,532.2

მუხლი 10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
1.	ფინანსური აქტივების ცვლილება	-10977.5	-11641.2	0.0
2.	ფინანსური აქტივების ზრდა	12550.6	0.0	0.0
3.	ფინანსური აქტივების კლება	23528.1	11641.2	0.0

მუხლი 11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
1.	საოპერაციო სალდო	6980.8	15229.6	-4489.7
2.	მთლიანი სალდო	-7109.3	-7711.5	3998.2

მუხლი 12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

(ათას ლარში)

N	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
1.	ვალდებულებების ცვლილება	-3868.2	-3929.7	-3998.2
2.	ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0
3.	ვალდებულებების კლება	3868.2	3929.7	3998.2

შენიშვნა: აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2025 წლის ბიუჯეტში წლიური გეგმა განისაზღვრა 3998,2 ათასი ლარის ოდენობით, აქედან (2015–2025 წლები), ნიკვას ქუჩის რეაბილიტაციისათვის დასაფარი ვალდებულება შეადგენს 660,6 ათას ლარს, ხოლო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ შორის ხელმოწერილი პროექტის ქონების გადაცემის ხელშეკრულების (2018–2026 წლები) შესაბამისად, დასაფარი ვალდებულება შეადგენს 97.7 ათას ლარს, ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის სამგზავრო ავტობუსებისა და მისი სათადარიგო ნაწილების გადაცემისათვის დასაფარი ვალდებულება (2021–2029 წლები) შეადგენს 3239,9 ათას ლარს. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2025 წლის 1–ლი იანვრისათვის შეადგენს 17006,7 ათას ლარს.

თ ა ვ ი II

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები.

1. პრიორიტეტი: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

ქვეპროგრამა: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 01 02 04) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთ ფორმებს როგორებიცაა: ა) დასახლების საერთო კრება; ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. გარდა ამისა, კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს მოქალაქეთა მონაწილეობა მათ საქმიანობაში და მოხდეს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებისას, რაც მათ შორის გულისხმობს სხვადასხვა ფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობის ინფორმირებას მონაწილეობის ფორმებისა და მუნიციპალიტეტის არსებული პროცესების შესახებ, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, ბიუჯეტისა და პროგრამების ფორმირებისას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით სხვადასხვა მექანიზმების/ინსტრუმენტების გამოყენებას და სხვა. პროგრამა შედგება შემდეგი ღონისძიებებისგან: 1. საჯარო შეხვედრების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება და ორგანიზების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა; 2. მერისა და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის ორგანიზების პროცესის მხარდაჭერა და მოქალაქეთა მონაწილეობისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა; 3. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა; 4. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისათვის შესაბამისი სისტემის შექმნა, გაუმჯობესება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

5. თვითმართველობის ორგანოებთან არსებული საკონსულტაციო-სათათბირო საბჭოების (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, შშმ პირთა საბჭოს, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობა; 6. სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლება. ქვეპროგრამის ბენეფიციარია მუნიციპალიტეტის ყველა ახალგაზრდა და სრულწლოვანი მოსახლე, რომელიც თვითმმართველობის პროცესში ჩართვის სურვილს გამოთქვამს. რადგან პროგრამა არ ხორციელდებოდა გასულ წლებში, რთულია პროგნოზირება თუ რა რაოდენობის ადგილობრივი მოსახლე ისარგებლებს ქვეპროგრამის მომსახურებით. წინასწარი გათვლებით, პროგრამის ბენეფიციარი არ უნდა იყოს 500 ადამიანზე ნაკლები (აქედან 200 კაცი, 300 ქალი (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; 16.10.1.1. მუნიციპალიტეტის მერია პროაქტიულად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შესაბამისი წესით. ასევე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით დამტკიცებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის; 16.10.1.2. მუნიციპალიტეტის მერია დროულად უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის მიწოდებას წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფორმით) მოთხოვნის შესაბამისად).

2. პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

ა) პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01). პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი გზების მშენებლობას და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაციას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც მნიშვნელოვანია სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ბევრი კორპუსის ეზო საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს, ტრანსპორტით თუ ფეხით, ეზომდე მისასვლელად მაინც მოუწესრიგებელი ტერიტორიის გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ქალაქის სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალეკილი არხები და ბუნებრივი სასულები, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციოა ნიაღვარმიმღები ობიექტები (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; 3.6.2. მუნიციპალური გზების პროპორციული ოდენობა, რომლებიც სრულად არის მოწყობილი უსაფრთხო გადაადგილებისათვის. 5: გენდერული თანასწორობა).

ა.ა) ქვეპროგრამა: გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02). ქალაქის მასშტაბით ქუჩების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გამომდინარე, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გზების პერიოდული შეკეთება, ქუჩების სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე დაზიანებული გრანიტის ძეგლებისა და ფილების შეკეთება, გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე დაზიანებული დაწნეხილი და დეკორატიული ფილების შეკეთების

სამუშაოები. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

ა.ბ) ქვეპროგრამა: ვიდეო – სამეთვალყურეო სისტემების შექმნა–ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 01 04). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ვიდეო – სამეთვალყურეო კამერების შექმნა, მონტაჟი და ექსპლოატაცია (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

ბ) პროგრამა: გარე განათება და საგზაო ნიშნები (პროგრამული კოდი 02 03). პროგრამით გათვალისწინებულია გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენური ფაქტორების შემცირება (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება. 5: გენდერული თანასწორობა; 3.6.2. მუნიციპალური გზების პროპორციული ოდენობა, რომლებიც სრულად არის მოწყობილი უსაფრთხო გადაადგილებისათვის).

გ) პროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05). პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა–პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტ-ბითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება. 5: გენდერული თანასწორობა; 11.1.1.1. მუნიციპალიტეტში შესაბამისი საჭიროების მქონე მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ნაგებობის რეაბილიტაციისა და საცხოვრისების განახლებისთვის ჩატარებული შესაბამისი ღონისძიებები; 11.1.1.2. მუნიციპალიტეტში შესაბამისი საჭიროების მქონე მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ნაგებობის რეაბილიტაციისა და საცხოვრისების განახლებისთვის გამოყოფილი თანხების (ეროვნულ ვალუტაში) ოდენობა მუნიციპალურ ბიუჯეტში).

გ.ა) ქვეპროგრამა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 05 01). ქალაქში არსებული სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებლად მოვლა – პატრონობასა და განვითარებას. წლის განმავლობაში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული ეზოები ქმნის უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემას. ასევე, მოუწესრიგებელი ეზოები დგას ეკოლოგიური საფრთხის წინაშე. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, ეზოები ადაპტირებული იქნება ბავშვების, შშმ პირების, ეტლით მოსარგებლე პირების, ხანდაზმული მობინადრეების საჭიროებებზე (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება. 5: გენდერული თანასწორობა).

დ) პროგრამა: ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 06). საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა–პატრონობა, მშენებლობა–რეაბილიტაცია ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის სტრატეგიული განვითარებისათვის. პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის

გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით სხვადასხვა სახის ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11:** ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; 7.3.1.2. ქალაქ ქუთაისის საზღვრებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტური მიზნებისათვის (ენერგოეფექტური მასალა და ტექნოლოგიები, მზის ფოტოვოლტაიური სისტემები და სხვა); 7.3.1.3. ქალაქ ქუთაისის საზღვრებში განხორციელებული პროექტების ღირებულება ეროვნულ ვალუტაში განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტური მიზნებისათვის (ენერგოეფექტური მასალა და ტექნოლოგიები, მზის ფოტოვოლტაიური სისტემები და სხვა).

და) ქვეპროგრამა: ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება (პროგრამული კოდი 02 06 02). ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქალაქის მასშტაბით, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით არსებული პრობლემების მოგვარება და მოქალაქეებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა. საჭირო ღონისძიებების განხორციელების რიგითობა განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიებისა და ადმინისტრაციული ერთეულების მომართვების საფუძველზე (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11:** ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

დ.ბ) ქვეპროგრამა: მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 06 03). გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების პატივსაცემად და მომავალი თაობებისათვის ისტორიული ინფორმაციის შესანარჩუნებლად ქვეპროგრამით განხორციელდება მემორიალური დაფების მოწყობა – ექსპლოატაცია (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11:** ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

დ.გ) ქვეპროგრამა: სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 05). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლოატაცია და დემონტაჟი, სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11:** ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

ე) პროგრამა: მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 07). პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის, მ.შ. საბავშვო ეტლით მოსარგებლე პირების, შშმ პირების სწრაფ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11:** ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; 5: გენდერული თანასწორობა; 11.2.1.1. უსაფრთხო, ადაპტირებულ მუნიციპალურ ტრანსპორტში შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მოწყვლადი ჯგუფების რაოდენობა; 11.2.1.2. საზოგადოებრივი ტრანსპორტის საერთო რაოდენობაში ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების ხვედრითი წილი – %).

ვ) პროგრამა: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 10). პროგრამა ითვალისწინებს პროექტირების ეტაპზე საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც შემდგომ, განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11:** ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

ზ) პროგრამა: საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 11). პროგრამის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

3. პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00). პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, უპატრონო ცხოველებისაგან იზოლირება და ხეების გადაბეღვა, მცენარეთა ფიტოსანიტარული მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა.

ა) პროგრამა: ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01). ქალაქის ეკოლოგიური და უსაფრთხო მდგომარეობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქუჩების დასუფთავება, ნარჩენების გატანა, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა, დეზინფექცია და დერატიზაცია. გამზარი ხეების მოჭრისა და გადაბეღვის სამუშაოების წარმოება, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 6: სუფთა წყალი და სანიტარია; 11.6.1. რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების მაჩვენებელი; 11.6.1.1. რეგულარულად შეგროვებული სეპარირებული ნარჩენების რაოდენობა, მათ შორის მუყაო და პლასტიკი; 11.6.1.2. რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად განთავსებული ბიოდეგრადირებადი ნედლეულის (მწვანე ნარჩენების) რაოდენობა; 11.6.1.3. რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად განთავსებული ბიოდეგრადირებადი ნედლეულის (მწვანე ნარჩენების) გადამუშავებით მიღებული კომპოსტის რაოდენობა).

ბ) პროგრამა: მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება (პროგრამული კოდი 03 02). პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობას, კერძოდ, ნარგავების მოვლას, ნიადაგის მომზადებას, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, მორწყვას, შეწამვლასა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანას (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 15: დედამიწის ეკოსისტემები; 11.7.1. ექსპლოატაციაში მყოფი მწვანე სივრცეების სიდიდე, რომელიც ღია საზოგადოებრივი გამოყენებისათვის ყველასათვის, ნებისმიერი სქესის, ასაკისა და შშმ პირისათვის; 11.7.1.1. ექსპლოატაციაში მყოფი მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობისათვის მუნიციპალურ ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების ოდენობა ეროვნულ ვალუტაში).

ბ.ა) ქვეპროგრამა: ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01). ქვეპროგრამის შესაბამისად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, კერძოდ, ქალაქის სეზონური ყვავილებით მორთვის, სკვერების დაგვა-დასუფთავებისა და მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნით (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 15: დედამიწის ეკოსისტემები; 11.7.1. ექსპლოატაციაში არსებული მწვანე სივრცეების სიდიდე, რომელიც ღია საზოგადოებრივი გამოყენებისათვის ყველასათვის, ნებისმიერი სქესის, ასაკისა და შშმ პირისათვის; 11.7.1.1. ექსპლოატაციაში არსებული მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობისათვის მუნიციპალურ ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების ოდენობა ეროვნულ ვალუტაში).

ბ.ბ) ქვეპროგრამა: ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 03). ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება მცენარეთა კოლექციის განახლება, განხორციელდება ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა. ჩატარდება ბაღის სამეურნეო, აგრო-ტექნიკური და სარეაბილიტაციო სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება ვიზიტორთათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 15: დედამიწის ეკოსისტემები; 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.**

4. პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00). საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ქალაქის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, გენდერული საკითხებისა და მათთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღქმას, ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას; ურბანული კულტურის განვითარებას; პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა.

ა) პროგრამა: სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01). ფუნქციონირებს 37 ბაღი, მათში დასაქმებულია 1876 ადმინისტრაციული პერსონალი (მ.შ. ქალი 1785 მამაკაცი 91). რაც შეეხება აღსაზრდელების რაოდენობას, საშუალოდ წლიურად მათი რაოდენობა შეადგენს 7690 (მ.შ. გოგოები 4130 ბიჭები 3560) პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 4: ხარისხიანი განათლება, 5: გენდერული თანასწორობა; 4.2.2. ორგანიზებულ სასწავლო პროცესში, მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების (2-დან 6 წლის ასაკამდე) მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით; 4.ა.1.2. სრულფასოვანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისათვის შშმ და სსმ ბავშვების ინდივიდუალური ასისტენტით უზრუნველყოფა; 4.გ.1.1. ეროვნული სტანდარტების შესაბამისად გადამზადებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა პროცენტული წილი).**

ბ) პროგრამა: განათლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03). პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, ქუთაისის განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისებასა და მოსწავლეთა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას (**გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 4: ხარისხიანი განათლება; 1.ა.2. ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა) მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის პროპორციული ოდენობა).**

5. პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00). ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების

ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პრიორიტეტის მიზანია, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. ევროპული ღირებულებების გაზიარება და ევროსაბჭოს, ევროპარლამენტისა და სხვა სტრუქტურებში საქმიანობის შესწავლა პრაქტიკის მიღების მიზნით.

ა) პროგრამა: სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01). პროგრამის შესაბამისად, სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების წახალისება (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 5: გენდერული თანასწორობა).

ა.ა) ქვეპროგრამა: სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01). ქვეპროგრამის მიზანია სპორტული ფილიალების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა. 5: გენდერული თანასწორობა).

ა.ბ) ქვეპროგრამა: კალათბურთის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 02). ქვეპროგრამით განსაზღვრულია კალათბურთის გუნდის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქვეყნის ჩემპიონატისა და სხვადასხვა სახელობის ტურნირებზე მონაწილეობის მიღება, ახალგაზრდული გუნდის ხელშეწყობა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ა.გ) ქვეპროგრამა: ხელბურთის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 03). ქვეპროგრამით გათვალისწინებულია საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებების ჩატარება, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა, კლუბის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ა.დ) ქვეპროგრამა: ქალთა და სამოყვარულო ფეხბურთის კლუბების განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 04). ქვეპროგრამით განსაზღვრულია საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებები, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა. 5: გენდერული თანასწორობა).

ა.ე) ქვეპროგრამა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 05). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ ფუნქციონირების

ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონს“, რომელიც შემდგომ განახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები მოხმარდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას (ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ა.ვ) ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 06). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ა.ზ) ქვეპროგრამა: ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 08). ქალაქ ქუთაისში არსებული, ჯერ კიდევ, წლების წინ მოწყობილი სპორტული „ტრენაჟორები“ და ატრაქციონები, რომელთაც შემოღობვა, სათამაშო ზედაპირი და სხვა შემადგენელი ნაწილები დაზიანებული აქვს, საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას, აღნიშნული ქვეპროგრამის განვითარება ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში, სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვებისათვის კომფორტული გასართობი და დასასვენებელი ადგილების შექმნას (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ) პროგრამა: კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02). პროგრამის ფარგლებში წლის მანძილზე ჩატარდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ასევე, მოხდება ი.ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლისა და კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა.

ბ.ა) ქვეპროგრამა: კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01). ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში, კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, გაერთიანებაში შემავალი ფილიალების მუშაობის გააქტიურებას (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ბ) ქვეპროგრამა: ი.ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02). ქალაქ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა და ფილიალები წარმოადგენს მიმზიდველ, საინტერესო და ხელმისაწვდომ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრისათვის, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას, ინფორმაციას და ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ქვეპროგრამით განსაზღვრულია ი.ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის ხელშეწყობა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.გ) ქვეპროგრამა: ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03). არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც ხდება ხალხური შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება და პოპულარიზაცია. ქვეპროგრამა

ითვალისწინებს ხსენებული დაწესებულების განვითარების ხელშეწყობას (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.დ) ქვეპროგრამა: კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 04). ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით, წლის მანძილზე სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, საერთაშორისო კულტურული აქტივობების, კულტურული დღეების, გაცვლითი გასტროლების, გამოფენების, კონკურსებისა და ფორუმების ჩატარების უზრუნველყოფა. ასევე, სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომების გამოცემა და ქუთაისში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედების მხარდაჭერა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

გ) პროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03). ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 8.ბ.1.1. მუნიციპალური სტრატეგიის არსებობა, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას და დასაქმების ხელშეწყობას).

6. პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00). მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრისის შექმნა და ამ მხრივ სოციალური ფონის გაუმჯობესება.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01). პროგრამით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპილევსით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 1.3.1.2. – წლის განმავლობაში მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამურად გაცემული თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში; 1.ა.2. ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა) მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის პროპორციული ოდენობა).

ა.ა) ქვეპროგრამა: ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა

ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, განსაკუთრებით საშიში დაავადებების მონიტორინგი და ზედამხედველობა. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა. **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 3.1.1. დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ცოცხალშობილ ბავშვზე; 3.2.1. 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი; 3.3.2. ტუბერკულოზის ინციდენტობა 100 000 ადამიანზე; 3.3.3. მალარიის ინციდენტობა 1000 ადამიანზე; 3.3.4. „B“ ჰეპატიტის ინციდენტობა 100 000 ადამიანზე; 3.3.4.1 „C“ ჰეპატიტის ინციდენტობა 100 000 ადამიანზე; 3.8.1.2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმუნიზაციის მაჩვენებელი; 3.დ.1.1. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელება; 3.დ.1.2. ფიზიკურად აქტიური მოსახლეობის პროპორციული ოდენობა).**

ა.ბ) ქვეპროგრამა: მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 02). ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და 70001-მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობით აღზრდაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები; მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ჰემოდიალიზზე მყოფი პირები; ოჯახური ძალადობის მსხვერპლები; მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე პირები; 2004 წლის აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრები; მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო მომსახურების თავშესაფრის ბენეფიციარები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები; ასევე ბენეფიციარები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო /გარდა უძრავ-მომრავი ქონების შეძენის მიზეზისა/ შეუწყდათ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, ისარგებლებენ საბიუჯეტო წლის ბოლომდე, დამატებითი მოკვლევის საფუძველზე. ბენეფიტი მოსარგებლეთათვის გაიცემა მხოლოდ ერთი საფუძველით. ბენეფიციარებისთვის, გარდა ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტებისა, რომლებიც დახმარებით ისარგებლებენ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით, დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით. გამონაკლისს წარმოადგენს 0-დან 6-მდე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანები, რომლებიც ბენეფიტის სახით მიიღებენ 300 ლარს. ქვეპროგრამით არ დაფინანსდება მედიკამენტი, რომელიც გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ამავე პროგრამაში დაწესებული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაუფინანსდება მედიკამენტები შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენისას. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცემა საგარანტიო წერილის მეშვეობით. ბენეფიციარი დახმარების მიღების მიზნით, განცხადებასთან ერთად წარმოადგენს საჭირო დოკუმენტაციას, კერძოდ: ა) პირადობის მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №IV-100/ა სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან. ბ) ნათესაურ და არანათესაურ მინდობით აღზრდაში მყოფი შშმ ბავშვების შემთხვევაში, დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა, არასრულწლოვანთა რეგისტრაციის ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, შშმ ბავშვის მინდობით აღზრდაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებზე დახმარება გაიცემა როგორც პირადი განცხადების, ასევე სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მომართვის საფუძველზე, შემდეგი თანდართული

დოკუმენტაციის შესაბამისად: ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი, ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა№IV-100/ა სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან. დ) ჰემოდალიზზე მყოფი პაციენტები წარმოადგენენ: პირადობის მოწმობას, ანგარიშგაქტურას აფთიაქიდან და ფორმა№IV-100/ა-ს სამედიცინო დაწესებულებიდან. ე) მხედველობით შშმ პირებისთვის დახმარება გაიცემა საქართველოს უსინათლოთა კავშირის ქუთაისის ფილიალის მომართვის საფუძველზე შემდეგი თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენით: პირადობის მოწმობა, შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა№IV-100/ა სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან. ასევე ყველა დამატებით საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ქვეპროგრამით ასევე ისარგებლებენ უცხოელი მოქალაქეები, კერძოდ: ა) უცხოელი, რომელიც ფლობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მოქმედ მუდმივი ბინადრობის მოწმობას. ბ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ფლობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მოქმედ ბინადრობის მოწმობას. გ) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი, რომელიც ფლობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მოქმედ ბინადრობის მოწმობას. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 3.8.1.1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ხარისხიან მედიკამენტებზე წვდომის უზრუნველსაყოფად მოქმედებს შესაბამისი მუნიციპალური პროგრამა).

ა.გ) ქვეპროგრამა: სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 03). ქვეპროგრამის მიზანია სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და სხვადასხვა შემთხვევების შედეგად დაავადებული პირებისათვის, სამედიცინო მომსახურების /ქირურგია, თერაპია, დიაგნოსტიკა/ ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. ქვეპროგრამით ისარგებლებენ: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე: 0-6 წლამდე /6 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით/ ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; მართოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები და მათი არასრულწლოვანი შვილები; მრავალშვილიანი მშობლები და მათი არასრულწლოვანი შვილები; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000-დან 150001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები; ასაკის პენსიონერები; მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირები; 2004 წლის აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრები; ქალაქ ქუთაისში არსებული მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლები; ავთვისებიანი სიმსივნითა და გულ-სისრძარღვთა სისტემით დაავადებული მოქალაქეები. ასევე ბენეფიციარები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო /გარდა უძრავ-მომრავი ქონების შეძენის მიზეზისა/ შეუწყდათ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, ისარგებლებენ საბიუჯეტო წლის ბოლომდე, დამატებითი მოკვლევის საფუძველზე. ქვეპროგრამით დაფინანსდება: 0-18 წლამდე /18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით/ ასაკის ბავშვთა ოფთალმოლოგიური ქირურგია, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში; გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო მომსახურება ყველა საყოველთაო სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქისთვის, ხოლო გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150000-ს. სამედიცინო დახმარების მოცულობა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში განისაზღვრება საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადი მომართვის საფუძველზე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში /სამედიცინო მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) მოდელი/ დადგენილი წესის მიხედვით განსაზღვრული თანაგადახდის წილის 70%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა. დიაგნოსტიკის შემთხვევებშიც დაფინანსება/თანადაფინანსება შეადგენს 70%-ს არაუმეტეს 1000 ლარისა. გამონაკლისს წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა სისტემითა და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული მოქალაქეები. ბენეფიციარები დახმარებით

ისარგებლებენ მრავალჯერადი მომართვის საფუძველზე, გულ-სისხრძარღვთა დაავადებების შემთხვევაში ჯამურად 1000 ლარის ფარგლებში, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების შემთხვევაში კი, ჯამურად 1500 ლარის ფარგლებში. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ბენეფიციარებს ასევე დაუფინანსდებათ ის სამედიცინო მომსახურებები, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. რადიოლოგიური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევები დაუფინანსდება ყველა ზემოჩამოთვლილ ბენეფიციარს, ხოლო სოციალურად დაუცველ პირებს სოციალური სარეიტონგო ქულით: 0-დან 150001-მდე. სამედიცინო მომსახურების შემთხვევებში /ქირურგია, თერაპია, დიაგნოსტიკა/ დახმარების მისაღებად, ბენეფიციარებმა განცხადებით უნდა მიმართონ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურს სამედიცინო მომსახურების მიღებამდე, ხოლო გადაუდებელი სტაციონარული/ამბულატორიული მომსახურების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერის შემდგომ, არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღისა. ბენეფიციარმა დაფინანსების მიზნით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან. სამედიცინო მომსახურების შემთხვევებში /ქირურგია, თერაპია, დიაგნოსტიკა/ დახმარების მისაღებად, კერძოდ გეგმიური სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა NIV-100/ა; ანგარიშ-ფაქტურა; საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი/საგარანტო წერილი ან ცნობა აღნიშნული პროგრამით ისარგებლობის შესახებ; გადაუდებელი სტაციონარული/ამბულატორიული მომსახურების შემთხვევაში: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა NIV-100/ა; ანგარიშ-ფაქტურა; თანაგადახდის ფარგლებში ვალის აღიარების (სამედიცინო დაწესებულების წინაშე არსებული დავალიანება) ამსახველი დოკუმენტი. დიაგნოსტიკის შემთხვევაში: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა NIV-100/ა; ანგარიშ-ფაქტურა. ასევე, ყველა დამატებით საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ქვეპროგრამით ასევე ისარგებლებენ უცხოელი მოქალაქეები, კერძოდ: ა) უცხოელი, რომელიც ფლობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მოქმედ მუდმივი ბინადრობის მოწმობას. ბ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ფლობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მოქმედ ბინადრობის მოწმობას. გ) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი, რომელიც ფლობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მოქმედ ბინადრობის მოწმობას. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ა.დ) ქვეპროგრამა: ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 04). ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერისა და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად ჯანმრთელობის ცნობა ფორმა NIV-100/ა - ს მიხედვით, არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, აღნიშნული ქვეპროგრამით არ დაფინანსდება ის ანტიკონვულსანტები, რომლებიც გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. ამავე პროგრამაში დაწესებული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაუფინანსდება მედიკამენტები შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენისას. ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება გაიცემა სამ თვეში ერთხელ და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება არაუმეტეს 210 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა NIV-100/ა და პირადობის

დამადასტურებელი მოწმობა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ა.ე) ქვეპროგრამა: ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 05). ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები ფენილკეტონურიის/ცელიაკის დიაგნოზის მქონე პირები. დახმარების ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) 18 წლამდე ასაკის /18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით/, მათ შორის სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ (ნათესაური/არანათესაური მინდობით აღზრდა) ბავშვებს, ასევე შესაბამისი საჭიროების მქონე 18 წლის ან მეტი ასაკის პირებს, რომლებიც ირიცხებიან 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებებში, ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით საჭირო ტრანსპორტირების ხარჯებისთვის /200 ლარის ღირებულების კვების ვაუჩერს ისინი მიიღებენ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში/. ბ) 18 წლის ან მეტი ასაკის პირები, დახმარებას მიიღებენ ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით. არასრულწლოვან პირებს მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს – პირადი განცხადებით მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად საჭიროა ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არასრულწლოვანის შემთხვევაში – უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის ადგილის შესახებ სამოქალაქო რეესტრიდან, ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან და ფორმა №IV-100/ა სამედიცინო დაწესებულებიდან ერთჯერადად, პირველი მომართვისას. ასევე ყველა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ) პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02). პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 1.3.1.2. წლის განმავლობაში მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამურად გაცემული თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში; 1.ა.2. ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა) მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის პროპორციული ოდენობა).

ბ.ა) ქვეპროგრამა: სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01). ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერჯისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა დავალიანების გათვალისწინებით) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. გუგუნავს ქუჩის N12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა მიერ დახარჯული ელექტროენერჯის თანხა ანაზღაურდება ყოველთვიურად, წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით 60 ლარის ფარგლებში, დავალიანების გათვალისწინებით. ასევე, ნიკვას ქუჩის N40გ - ში მდებარე სოციალური საცხოვრისის საერთო სარგებლობის ფართში მოხმარებული ელ. ენერჯის ხარჯი (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ბ) ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02). ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) ან მეტი არასრულწლოვანი მეტი

შვილი, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70 001–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მიზნებისთვის დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახი წარმოდგენს ერთ განცალკევებულ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ პირთა წრეს, რომლებიც ეწევიან ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას. მრავალშვილიან ოჯახებს ყოველთვიური დახმარება დაენიშნებათ განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. სავალდებულოა, რომ ორივე მშობელი მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში, ხოლო ერთ-ერთი მაინც რეგისტრირებული, დახმარების დანიშვნამდე არანაკლებ ერთი წლისა. ასევე, ყოველ 6 თვეში ერთხელ ოჯახის შემადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვს დახმარება შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს არასრულწლოვანი ბავშვი, თუ ის იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტ) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ, 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახის დახმარება შეადგენს 1000 ლარს. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც 2025 წელს შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად. მე-4 შვილის შეძენისას დახმარება გაეწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, მე-5 შვილის შეძენისას – 1100 (ათასასი) ლარის ოდენობით, მე-6 შვილის შეძენისას – 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით, მე-7 შვილის შეძენისას – 1300 (ათასსამასი) ლარის ოდენობით, მე-8, მე-9 და ა.შ. შვილის შეძენისას – 1400 (ათასოთხასი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებენ ელექტროენერჯის დანახარჯის ანაზღაურებაში დახმარებას, თანადაფინანსების სახით 20 ლარის ფარგლებში. აღნიშნულ ლიმიტს დაემატება 10 ლარი ხუთშვილიანი ოჯახის შემთხვევაში, ასევე ყოველ მომდევნო შვილზე იგივე წესით. ხარჯი ანაზღაურდება ფაქტური მოხმარების მიხედვით ლიმიტის ფარგლებში დავალიანების გათვალისწინებით. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.)

ბ.გ) ქვეპროგრამა: სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ გარდაცვლილი ვეტერანების დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარებას, რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნას: ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა გარდაცვალების შესახებ, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სანსახურის მოთხოვნით. გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.დ) ქვეპროგრამა: სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04). ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურ-ეკონომიკურად შეჭირვებული პირებისთვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: 1. ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების დღესთან - 9 მაისთან დაკავშირებით მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის გაიცემა მატერიალური დახმარება სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად (მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და

ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი). დახმარების თანხა განაწილდება პროპორციული წესით, თითოეულს არაუმეტეს 1500 ლარისა. 2. 3 - დან 18 - მდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საკურორტო მომსახურების დაფინანსება. ქვეპროგრამით ისარგებლებენ: სახელმწიფო შორუნველობაში, ნათესაურ და არანათესაურ მინდობით აღზრდაში მყოფი შშმ ბავშვები და მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო მომსახურების თავშესაფრის ბენეფიციარები. დაფინანსება მოხდება ვაუჩერის მეშვეობით, არანაკლებ 6 დღე-ღამისა. ბენეფიციარზე საბიუჯეტო წლის მანძილზე გაიცემა 1 ვაუჩერი. სავალდებულოა, მუნიციპალიტეტში განაცხადის წარდგენის დროისათვის ბენეფიციარის (გარდა თავშესაფრის ბენეფიციარებისა) არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე ქუთაისში რეგისტრაცია, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია 200 001 - მდე სარეიტინგო ქულით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) სასტუმროს მომსახურების ხარჯების ვაუჩერულ დაფინანსებას. ვაუჩერით მოსარგებლე თავად ირჩევს მომსახურების მიმწოდებელ მხოლოდ ერთ სასტუმროს და სერვისის პირობებს. ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს; ერთ ბენეფიციარზე და მის კანონიერ წარმომადგენელზე ვაუჩერის ღირებულება ჯამში განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარით. თუ ერთ კანონიერ წარმომადგენელს ეყოლება ორი ან მეტი ბენეფიციარი, ანაზღაურდება მხოლოდ ერთი კანონიერი წარმომადგენლისა და ბენეფიციართა რაოდენობის მიხედვით მომსახურების ღირებულება. ქვეპროგრამით მოსარგებლემ (კანონიერმა წარმომადგენელმა), პროგრამაში ჩართვის მიზნით, სოციალურ საკითხთა სამსახურს განცხადებით უნდა მიმართოს და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობა; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; დ) მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №IV-100/ა სამედიცინო დაწესებულებიდან. საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებით დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, ვაუჩერის მისაღებად სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა მიმართოს 2025 წლის 15 მაისიდან 15 სექტემბრამდე. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით. ვაუჩერის განაღდება სერვისის მიმწოდებლის მიერ სავალდებულოა მომსახურების დასრულებიდან საბიუჯეტო წლის 15 დეკემბრამდე. სერვისის მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მიზნით უნდა წარმოადგინოს: ა) ვაუჩერი (დედანი); ბ) ვაუჩერით მოსარგებლის დაბადების/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; გ) გაწეული მომსახურების ინვოისი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სერვისის მიმწოდებლის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი; საბანკო რეკვიზიტები; მომსახურების გაწევის ადგილის მისამართი; ვაუჩერით მოსარგებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი; ვაუჩერით მოსარგებლის მიერ საკურორტო მომსახურების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი; სერვისის მიწოდებისათვის ასანაზღაურებელი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ქვეპროგრამით განსაზღვრულ ლიმიტს. სერვისის მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა; დ) ინვოისი შედგენილი უნდა იყოს ვაუჩერით მოსარგებლის მიერ საკურორტო მომსახურების დასრულების შემდეგ; ე) გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი, გაფორმებული სერვისის მიმწოდებელსა და ბენეფიციარის უფლებამოსილ წარმომადგენელს შორის, მიღებული მომსახურების დღეების გათვალისწინებით, მომსახურების მიმღები პირის მიერ თითოეულ დღეზე ხელმოწერით დადასტურებული და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. 3. ავღანეთიდან ჯარების გამოყვანასთან დაკავშირებით 15 თებერვალს, ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება. თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობების ასლები. 4. 2004 წელს აგვისტოს ქართულ - ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური დახმარება. მეომრის ოჯახის

წვერის ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე ოჯახს ერთჯერადად მიეცემა მატერიალური დახმარება 1500 ლარის ოდენობით. 5. 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება. თანხა განაწილდება პროპორციული წესით, დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელ ინვალიდთა კავშირის მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობების ქსეროასლები. 6. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით, 17 ოქტომბერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვეტერანებისთვის მატერიალური დახმარება. თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად. მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები, შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების, პირადობისა და ვეტერანის მოწმობების ასლები. 7. „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის ქუთაისის დღის ცენტრის მხარდაჭერა. 8. 100 და მეტი წლის ბენეფიციარების მატერიალური დახმარება, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. 9. აა(ი)პ „World Vision International“ საქართველოს ფილიალის თანადაფინანსება, მისაფარ ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარებისა და მათი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით. 10. სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებისა და თაიგულების შექმნა. 11. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ორჯერ: ადდგომის ბრწინვალე დღესასწაულთან და ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მოწყვლადი სოციალური კატეგორიის მოქალაქეებისთვის (სოციალურად დაუცველი პირები 70001-მდე სარეიტინგო ქულით, „მადლიერების სახლის“ ბენეფიციარები, მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარები 200001-მდე სარეიტინგო ქულით, 100 წლის და მეტი ასაკის ბენეფიციარები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული სოციალურ-ეკონომიკურად შეჭირვებული პირები და სხვ.), 100 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათების შექმნა. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ე) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 05). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქუთაისში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტრო-ენერჯისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. ბენეფიციარებს ყოველთვიურად აუნაზღაურდებათ მოხმარებული ელექტრო-ენერჯის ღირებულება წლიური ლიმიტის მიხედვით შემდეგნაირად: ერთწევრიან და ორწევრიან ოჯახებს 48 ლარი, სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს – 72 ლარი, ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს – 96 ლარი, რვა და მეტი წევრიან ოჯახებს – 120 ლარი. თანხები გადანაწილდება თვეების მიხედვით პროპორციულად, რომელიც აუნაზღაურდება მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე ბენეფიციარებს. ელექტრო-ენერჯის ღირებულების ანაზღაურება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიის („ეპ ჯორჯია მიწოდება“) ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. ბენეფიციარები საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულებისაგან (სულზე 1 ლარი) თავისუფლდებიან. ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ელექტრო ენერჯის აბონენტის ნომრის არარსებობის შემთხვევაში, ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება ბენეფიციარის განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერი (ქვითარი), სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ვ) ქვეპროგრამა: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 06).

ქვეპროგრამის მიზანია: ა) მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა საადმინისტრაციულ დაწესებულებებიდან („მინდობით აღზრდა“, „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურება), დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. ბ) სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული არასრულწლოვანი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების (მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად) და ამ ოჯახების გაძლიერების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა; გ) ჰემოდიალიზზე დამოკიდებული პირები. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში არსებული ბავშვთა საადმინისტრაციულ დაწესებულების ყოფილი აღსაზრდელები, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან გამოსული პირები, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება; ოჯახები, რომელთა წევრთა შემადგენლობიდან სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულია ან რეინტეგრირებულია ერთი ან მეტი ბავშვი და აქვთ ამ პროგრამაში ჩართვის საჭიროება; ჰემოდიალიზზე დამოკიდებული პირები. ქვეპროგრამის „ა“ და „ბ“ პუნქტების სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება კომპეტენტური ორგანოს – სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მიერ გაცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იქნება პირის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებისა და ვადების შესახებ. დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი წესით შემუშავებული და გაცემული დასკვნა–რეკომენდაცია ქვეპროგრამაში 18 წელს მიღწეული პირის ან ოჯახის ჩართვის საჭიროების შესახებ. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის პირველ პუნქტში მითითებულ პირთა წრის დახმარება განსაზღვრულია თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. დახმარების მიღების უფლება წარმოეშობათ სრულწლოვანების მიღწევის მომდევნო თვიდან მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასასრულამდე. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა ქვეპროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, თითოეულ ბენეფიციარზე ჯამში არაუმეტეს 12 თვისა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მეორე პუნქტში მითითებულ ოჯახებს დახმარება გაეწევათ თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე, თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარება მიეცემა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და იმავდროულად, ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახს/პირს, რომელსაც 2025 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2025 წლის განმავლობაში მოიპოვებს ამ უფლებას. დახმარების გაცემის ვადა განსაზღვრება რეინტეგრაციის მოქმედების ვადით. ბენეფიციარებს დახმარების მისაღებად უფლება წარმოეშობათ, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ქვეპროგრამაში ჩართული ოჯახები მატერიალური დახმარებით დაკმაყოფილებიან რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამით მომსახურების ვადის დასრულებამდე 2025 საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლის შემთხვევაში, მატერიალური დახმარება შესაძლებელია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ დასკვნა–რეკომენდაციის საფუძველზე გაიცეს ბავშვის ჰემოდიალიზის ინტერესიდან გამომდინარე, მისი ოჯახში დაბრუნებამდე ერთი თვით ადრე. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მესამე პუნქტში მითითებულ, ჰემოდიალიზზე მყოფ პირებს დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით, გადაადგილებაში დახმარების მიზნით საჭირო ტრანსპორტირებისთვის. დახმარება გაიცემა ბენეფიციარის განცხადებით მომართვიდან, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარები რეგისტრირებული უნდა იყვნენ ქალაქ ქუთაისში. ბენეფიციარებმა განცხადებასთან და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ჰემოდიალიზზე მყოფმა პაციენტმა

ცნობა – სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა №100). პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალებისა და პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ზ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 07). ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე : ა) 0-6 წლამდე ბავშვები; ბ) 6 - დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები /6 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით/, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს; გ) მინდობით აღზრდაში მყოფი შშმ ბავშვები; მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები; დ) მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები; მათთვის უმთავრესი საჭიროების ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ: ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი ხელსახოცებით უზრუნველყოფა დახმარება განსაზღვრულია თვეში 60 ლარის ოდენობით. დახმარების მთხოვნელი ყოველთვიურად, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ ცნობას აღნიშნული შშმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშ-ფაქტურას აფთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვიურად გაიცემა საგარანტიო წერილი. **გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).**

ბ.თ) ქვეპროგრამა: უფასო კვება (პროგრამული კოდი 06 02 08). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვებას დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდებას ოჯახებში ყოველდღიურად (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 2.1.1.1. შესაბამისი საჭიროების მქონე მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების მომსახურება უფასო სასადილოს პროგრამით).

ბ.ი) ქვეპროგრამა: კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09). ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 18 წლამდე /18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით/ არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება გაიცემა კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შექმნის მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში საგარანტიო წერილის მეშვეობით ანაზღაურდება კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტების ღირებულება ყოველთვიურად 95 ლარის ფარგლებში და ექვს თვეში ერთხელ პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება 200 ლარის ფარგლებში. ბენეფიტი მიიღება საბიუჯეტო წლის დასაწყისში, ბენეფიციარის მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადებით მომართვის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია: მშობლის/უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობა, არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობა, არასრულწლოვანი პირის ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი, ფორმა №100 შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშ-ფაქტურა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის

დამადასტურებელი მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.კ) ქვეპროგრამა: ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 10). ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 0–18 წლამდე ასაკის პირები, რომელთაგან მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადებით მომართვის საფუძველზე, სამ თვეში ერთხელ, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარის ოდენობით (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ლ) ქვეპროგრამა: შინმოვლა (პროგრამული კოდი 06 02 11). ქვეპროგრამის მიზანია მოვლის საჭიროების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სამედიცინო, სარეაბილიტაციო და ფსიქოსოციალური მომსახურების გზით. ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 120001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები პირები (შემდგომ – მოსარგებლე), რომელთათვისაც უძღვრების შეფასების ბართელის კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულა (შემდგომ – ბართელის ინდექსი) არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე. მოსარგებლეები არ არიან ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზუნველობის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეები, ასევე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო, ან ზრუნვით დაწესებულებაში მომსახურების მიმღები პირები. მოსარგებლეთა კატეგორია განისაზღვრება ბართელის ინდექსის მიხედვით: ა) I კატეგორია: ბართელის ინდექსი ნაკლებია 70 ერთეულზე; ბ) II კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია, ან ტოლია 70 ერთეულისა და ნაკლებია 80 ერთეულზე; გ) III კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია, ან ტოლია 80 ერთეულისა და არ აღემატება 95 ერთეულს. მოსარგებლის შეფასებას და ბართელის ინდექსის მინიჭებას პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაცია ახდენს არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მიმწოდებელს (შემდგომ–მიმწოდებელი) წარმოადგენს საჯარო, ან კერძო სამართლის იურიდიული პირს, რომლებიც წერილობით დაადასტურებენ ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს: საჯარო, ან კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაცია ქვეპროგრამაში ჩართვამდე არაუგვიანეს 1 წლისა და განსახორციელებელი მომსახურებების სულ მცირე 6–თვიანი გამოცდილება, კერძოდ: ა) მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მოვლის ინდივიდუალური გეგმის შედგენა; ბ) მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის უზრუნველყოფა. მრავალდარგობრივი გუნდის მიერ ბინაზე მოვლის განხორციელება. ქვეპროგრამით განსაზღვრულ მინიმალურ სერვისებს წარმოადგენს: ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვა, საექიმო და საექთნო მომსახურება (დაავადებების გართულების პრევენცია): ნაწოლები, ქირურგიული გადახვევები, კონტრაქტურების პრევენცია შესაძლებლობის ფარგლებში (მედიკამენტების მიწოდება, პერსონალური მოვლა, სხეულის დაბანა, ფრჩხილისა და სახის მოვლა და ა.შ.), ჰიგიენური მოვლის საშუალებებით უზრუნველყოფა, პაციენტის მოვლის მიზნით ოჯახის წევრების დატრენინგება. ამასთან, პროგრამაში ჩართულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ დამატებითი მომსახურება (ისეთი როგორცაა ცხელი საკვების მიწოდება, სარეცხის რეცხვა, გარემოს ადაპტირება და სხვა მსგავსი ტიპის სერვისები, რასაც სერვისის მიმწოდებელი საჭიროდ ჩათვლის ბენეფიციარების ინტერესებიდან გამომდინარე) გაუწიონ ბენეფიციარებს დამატებითი ანაზღაურების გარეშე. ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით მოქალაქე განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით (მოქალაქის/ოჯახის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, ბართელის ინდექსის მიხედვით მიკუთვნებული კატეგორიის დამადასტურებელი შეფასების დოკუმენტი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებიდან) მიმართავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერიას/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურს. მოსარგებლე პირი ქვეპროგრამით განსაზღვრულ მომსახურებას მიიღებს მიმწოდებელი ორგანიზაციისგან, რომელსაც იგი ირჩევს თავისუფალი არჩევანის პრინციპით იმ პირობით, რომ მიმწოდებლის შეცვლა შეუძლია არაუმეტეს 6 თვეში ერთხელ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება წლიური ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია: ა) I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 660 ლარი; ბ) II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 540 ლარი; გ) III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 360 ლარი. მომსახურება დაფინანსდება გათვალისწინებული წლიური ღირებულების შესაბამისად, თვეში 1/12-ის პრინციპით. მიმწოდებლის შემოწმებას პერიოდულად ატარებს განმახორციელებელი. შემოწმებისას ხდება მიმწოდებელთან ქვეპროგრამის განმახორციელებლის უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, პირის კანონიერ წარმომადგენელთან და მიმწოდებელთან დასაქმებულ პერსონალთან გასაუბრება. შესრულებული სამუშაოს დადასტურების შემთხვევაში, ქვეპროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა მიმწოდებელს, ხოლო მეორე რჩება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან. ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც: მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს. ვაუჩერის ანაზღაურება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მხრიდან ხდება სრულად, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თვეში არაუმეტეს 150 ბენეფიციარის მომსახურება. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.მ) ქვეპროგრამა: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 02 12). ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD-10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“; „F84.9“) სააბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენა; ბ) ბავშვის მობილური, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქვევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი და სხვა) მიერ ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიული სეანსების მიწოდებას, თვეში 20 სეანსი. მათ შორის: ქვევის გამოყენებითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს, რომელიც მოიცავს უკუკავშირის ბენეფიციარის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან; გ) ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ) ბენეფიციართა შეფასებისა და ინდივიდუალური გეგმის წარდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში, ხოლო ინდივიდუალური გეგმის ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული გეგმის წარდგენა არაუგვიანეს შეცვლილი ინდივიდუალური გეგმის თვის წინა თვისა; ე) 6 თვეში ერთხელ ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტების გამოყენებით (მ.შ. „ABLLS-R“, „VB-MAPP“, „ESDM“ და სხვა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ქვევის ანალიტიკოსთა

ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული ანგარიშების სტანდარტიზებული ფორმის მიხედვით ანგარიშის წარდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ ერთი თვის განმავლობაში. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS-2“ ტესტირების აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. მიმწოდებელი, ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის სიას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის) მოქალაქის პირადობის მოწმობა, ან პასპორტი (ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – საინფორმაციო ბარათი); მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS-2“ აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, „ADOS“ ტესტირების შედეგი; ამასთან, სერვისით უწყვეტად სარგებლობისათვის, ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მომლოდინეთა სიაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის–სოციალურ საკითხთა სამსახურში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის წერილობითი მომართვის საფუძველზე. მომართვას თან უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა, დიაგნოზის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი და ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი საინფორმაციო ბარათი). ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩარიცხვა იწარმოებს ორ ეტაპად: საბიუჯეტო წლის დასაწყისში (იანვრის თვე) და 1 ივლისიდან (ივლისის თვე). ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა სიაში მყოფ სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლის ქულა არ აღემატება 70000-ს; ასევე იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას განცხადებით. წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენს: 2 – 7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 14 სეანსის; 8 – 11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 12 სეანსის; 12 – 17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. სეანსების რაოდენობა და ბავშვის თერაპიის ტიპი ყოველთვის უნდა თანხმდებოდეს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა ინახებოდეს მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და მულტიდისციპლინური გუნდის შეთანხმების შემთხვევაში, სეანსების ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში, მაგ.: სკოლა, საბავშვო ბაღი, სკვერი და ა.შ. თუ განსხვავებული გარემო არ მოითხოვს დამატებით ხარჯებსა და დროს. ინტერვენციები მოიაზრებს ბენეფიციარისათვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას, სუპერვიზიის შეხვედრებისა და მზრუნველის ტრენინგის/ფსიქოგანათლების ჩათვლით. ჩარევის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინტერვენციის სიხშირეზე, რასაც განსაზღვრავს ინდივიდუალური საჭიროება; ინტერვენციის ხანგრძლივობა, მისი გაზრდა/შემცირება/შეწყვეტა დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე, დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხსა და მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებაზე, რაც

თანხმდება მშობელთან/მზრუნველთან/მეურვესთან. დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხსა და მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებაზე, რაც თანხმდება მშობელთან/მზრუნველთან/მეურვესთან. ინტერვენციით მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე შესაძლოა ინტერვენციის სიხშირის, ხანგრძლივობის შემცირება/გაზრდა, ინტერვენციის ტიპის შეცვლა ან შეწყვეტა, რაც ხდება მზრუნველთან შეთანხმებით. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური (შემდგომ, ქვეპროგრამის განმახორციელებელი). ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით. ქვეპროგრამის მოსარგებლებისათვის მომსახურების მიწოდებულია პირი (შემდგომ, მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, წერილობითი განაცხადით ეთანხმება ქვეპროგრამისა და ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს და დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 2 თვით ადრე. ქვეპროგრამის ფარგლებში, განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული 20 სეანსის დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში 420 ლარი. ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3-ზე მეტი სეანსის არ ჩატარების შემთხვევაში, ანაზღაურდება პრაქტიკულად ჩატარებული სეანსები, მხოლოდ ერთი თვე. შემდეგ თვეში ანალოგიური შემთხვევის დადგომისას (არასაკმარისი მიზეზით სეანსების გაცდენა), ბენეფიციარი მომსახურების მიმწოდებლისგან იღებს წერილობით გაფრთხილებას მომსახურების შეწყვეტაზე და განმეორებითი შემთხვევის გამოვლენისას შეუწყდება პროგრამით მომსახურება. ბენეფიციარს მომსახურება არ შეუწყდება თუ: გაცდენა გამოწვეულია მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობით; გაცდენა გამოწვეულია მოსარგებლის აქტიური სოციალური სტატუსის ხელშეწყობის მიზეზით (კურორტული დასვენება, კულტურული, შემეცნებითი და სპორტული გასვლები); გაცდენა გამოწვეულია მიმწოდებელი დაწესებულების ფუნქციონირების დროებითი შეჩერების გამო, რაზედაც მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და ქვეპროგრამის განმახორციელებელს. აღნიშნული გამონაკლისი შემთხვევების შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშგებისას წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის ინდივიდუალური ან ჯგუფური 1 სეანსი ან ტელინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელით განხორციელებული 1 სეანსი. ქვეპროგრამის ფარგლებში, განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სეანსების მიწოდება ხორციელდება მოსარგებლის/ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის გარეშე, ხოლო დამატებითი სეანსების ღირებულება შესაძლებელია ანაზღაურდეს მოსარგებლის (ბენეფიციარის) მხრიდან. ვაუჩერით ანაზღაურდება მომსახურება, მოსარგებლის ქვეპროგრამაში ჩართვის თვიდან მოსარგებლის 18 წლის ასაკის შესრულებამდე. ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე 18 წლის ასაკის შესრულების თვის მანძილზე მოსარგებლისათვის მიწოდებული მომსახურება. ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით დაინტერესებულმა პირმა (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) უნდა მიმართოს მიმწოდებელს განცხადებით. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მიმწოდებელი, გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, წერილით მიმართავს განმახორციელებელს პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით. ქვეპროგრამაში ჩართვისას პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელს განცხადებით. ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას, ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი

დოკუმენტის ასლი; გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დ) მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის ქვეპროგრამის მიმწოდებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS“ ტესტირების შედეგი. მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია არჩევანის უფლება მიმწოდებელი დაწესებულების, ასევე სენსის ტიპის (პირისპირ (ინდივიდუალური ან ჯგუფური) ან ტელეინტერვენციის მოდელით განხორციელებული სენსი) არჩევას. მოსარგებლეს აქვს უფლება, შეიცვალოს დაწესებულება. ამისათვის, ის განცხადებით მიმართავს იმ მიმწოდებელ დაწესებულებას, რომელშიც სურს გადასვლა. ამასთან, მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ვაკანტური ადგილის გაჩენის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება დაწესებულების შეცვლის მსურველ იმ მოსარგებლეს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას განცხადებით. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამით მოსარგებლები გამოთქვამენ სურვილს დაწესებულებებში ერთმანეთისათვის ადგილის გაცვლასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მათ ავტომატურად გაცვალონ ადგილები. მოსარგებლის ქვეპროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, მისი ქვეპროგრამაში განმეორებით ჩართვა ხორციელდება ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია. ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა), მოსარგებლის კანონიერ წარმომადგენელთა ხელმოწერებით დადასტურებული შემთხვევათა რეესტრი მიღებული სენსების რაოდენობის თაობაზე. ქვეპროგრამის განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ. ქვეპროგრამის განმახორციელებელი ამოწმებს შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციას, რომლის დროსაც ხდება: ა) მოსარგებლის იდენტიფიცირება; ბ) ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტში (ანგარიშ-ფაქტურა) მითითებული თანხის შედარება შემთხვევათა რეესტრში ცალკეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან; წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღმოჩენისას, განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს დოკუმენტები მიმწოდებელს და მისცეს 3 სამუშაო დღე აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხელახლა წარმოსადგენად. სრულყოფილად წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს ანგარიშზე ფორმდება მიღება ჩაბარების აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ა) მიმწოდებლის სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; ბ) ქვეპროგრამის დასახელება; გ) საანგარიშგებო თვე; დ) საანგარიშგებო დოკუმენტების ჩამონათვალი შესაბამისი რაოდენობების, ნომრებისა და თარიღების მითითებით; ე) წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება, მომსახურების საერთო ღირებულების (ლარებში) მითითებით; ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ, მიმწოდებლისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკრძალება ქვეპროგრამაში ჩართვა დადგენილი პირობების უხეში დარღვევის გამოვლენის შესახებ შესაბამისი დასკვნიდან 1 წლის განმავლობაში. მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ჰქონდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება; ბ) ჰქონდეს 1 წლის განმავლობაში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე სულ მცირე 20 ბავშვისათვის მომსახურება მიწოდებული უწყვეტად, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, კერძოდ, ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: „ABLLS,VB-MAPP“, ყოველთვიურად წარმოებული შესაბამისი ჩანაწერებით, გრაფიკებითა და მიზნებით); გ) ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდის – ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქვევითი ანალიტიკოსი, მეტყველების

თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი და სხვა ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური ინტერდისციპლინური გუნდის – ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი და სხვა – ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; ჰყავდეს უმაღლესი განათლების მქონე, ყოველ 10 მოსარგებლეზე არანაკლებ 1 ქცევითი თერაპევტი, რომელიც არის ბავშვის ემოციურ – ქცევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე და გავლილი აქვს ქცევის გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ბაზისური თეორიული კურსი 40 საათის ხანგრძლივობით დადასტურებული სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად ჩატარების სულ მცირე, 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი ანალიტიკოსი (სუპერვაიზერი), ამასთან, თუ სუპერვაიზერი წარმომადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, ის ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობას უნდა უწევდეს 5 ქცევით თერაპევტს და შესაბამისად, არაუმეტეს 50 ბენეფიციარს უნდა მართავდეს, რომელსაც შეუძლია ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება – გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით („ABLLS“, „VB-MAPP“, „ESDM“ „Curriculum Checklist“ და სხვა), ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა, აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის სულ მცირე, 2 წლიანი გამოცდილება, სრულად აქვს გავლილი ქცევის გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო კურსი, ან მომზადებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ – ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთ-ერთზე სერვისის განსახორციელებლად) ჯგუფური სეანსის შემთხვევაში, ჯგუფში მოსარგებლების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2 და მაქსიმალური 4, ხოლო ყოველი 2 მოსარგებლისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული 1 შესაბამისი სპეციალისტი არაუმეტეს, 4 ჯგუფური თერაპიისა თვეში; მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; დ) ჰყავდეს დიპლომირებული ოკუპაციური თერაპევტი ან სპეციალისტი მომიჯნავე სფეროში (ფიზიოთერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი), რომელსაც გავლილი აქვს საერთაშორისო ან/და საქართველოს ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ტრენინგ კურსი ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და აქვს ოკუპაციური/სენსორული თერაპიის გამოცდილება; ე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად, მათ შორის, ოკუპაციური/სენსორული თერაპიის განსახორციელებლად); ვ) ჯგუფური სეანსის შემთხვევაში ჯგუფში მოსარგებლების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2 და მაქსიმალური 4, ხოლო ყოველი 2 მოსარგებლისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული 1 შესაბამისი სპეციალისტი. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაუშვებელია დოკუმენტალურად წარმოდგენილი სპეციალისტებისაგან გასხვავებული სპეციალისტების ჩართვა მომსახურების გაწევისას. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდის გათვალისწინებული შემადგენლობის ცვლილების თაობაზე. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის მოსარგებლებისთვის ქცევითი ანალიტიკოსის ცვლილების შემთხვევაში მოახდინოს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისი ყველა ინფორმაციის (მათ შორის ჩანაწერების) გადაბარების უზრუნველყოფა. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მოცულობა განახორციელოს მატერიალიზებული ვაუჩერის დაფინანსების ფარგლებში, ქვეპროგრამის მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ, მიმწოდებლისთვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის ან/და მიმწოდებლის მხრიდან მოსარგებლისთვის დამატებითი ვალდებულებების/გადასახადების დაკისრების

გამოვლენის შემთხვევაში, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს გამოუქვითოს პირობების დარღვევის გამოვლენის თვის შესრულებული სამუშაოს 20%. ქვეპროგრამაში ახალი დაწესებულების ჩართვისას, ბენეფიციართა ჩართვის კუთხით, უპირატესობა მიენიჭება იმ ბენეფიციარს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განცხადებით უკვე არსებულ მიმწოდებელ დაწესებულებას და არ მიუღია მომსახურება (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ნ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 13). ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. კონკურსის წესის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებს. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს. ასევე, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, დებულებასა და კონკურსის პირობებს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი. სადაც ასახული იქნება ინფორმაცია პროექტის შესახებ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.kutaisi.gov.ge. განთავსდება ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების თაობაზე, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით. სავალდებულოა, საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი განაცხადები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ დათქმულ ვადებში. თანამშრომლობა გამარჯვებული პროექტის ავტორსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ფორმდება მემორანდუმის სახით, სადაც ნათლად იქნება ასახული მხარეთა ვალდებულებები. მხარეებს შორის მემორანდუმში გაფორმდება მას შემდეგ რაც კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის საფუძველზე, რომელიც გაფორმდა ოქმის სახით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შერჩეული პროექტისათვის დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის თაობაზე. ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ო) ქვეპროგრამა: შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 14). ქვეპროგრამის მიზანია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებსა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დღის ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება. ასევე 6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა – 46,2 ლ. 2025 წლის განმავლობაში დაფინანსების /თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერჯია, ბუნებრივი აირი და წყალი) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, ყოველთვიურად წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებისა და ქვითრების შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე. ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს თვის კომუნალურ ხარჯს ჯამურად 300 ლარამდე, ზაფხულის თვეებში დაფინანსდება არაუმეტეს 150 ლარისა, ხოლო ზამთრის თვეებში კი წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, არაუმეტეს 300 ლარისა. 300 ლარს ზემოთ წარმოდგენილი კომუნალური ხარჯის შემთხვევაში, ზაფხულის თვეებში დაფინანსდება არაუმეტეს 300 ლარისა, ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) კი – ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით არაუმეტეს 600 ლარისა

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.პ) ქვეპროგრამა: მარტოხელა მშობელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 15). ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტრო ენერჯის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 40 ლარის ოდენობით. აქედან, ელექტრო-ენერჯის გადასახადის თანადაფინანსება ოჯახზე განისაზღვრება ყოველთვიურად 20 ლარის ფარგლებში; ბუნებრივი აირის ყოველთვიურად 15 ლარის ფარგლებში, წყლის გადასახადი კი 5 ლარის ფარგლებში. მოხმარებული გადასახადების ღირებულების ანაზღაურება/თანადაფინანსება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს განეკუთვნებიან მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი/შვილები და არ იმყოფებიან ქორწინებაში. ბენეფიციართა იდენტიფიცირება მოხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; ბავშვის დაბადების მოწმობა; კომუნალური გადასახადების (ელექტრო ენერჯია, წყალი, ბუნებრივი აირი) ქვითრები; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული გადაწყვეტილება მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ და ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ (სტატუსის გადამოწმება მოხდება 6 თვეში ერთხელ სამოქალაქო რეესტრში); საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).**

ბ.ჟ) ქვეპროგრამა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 16). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევას. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა მატერიალური დახმარება თვეში 200 ლარის ოდენობით. სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ ტერიტორიულმა ერთეულმა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებმა, ბენეფიციარის თავშესაფრის დატოვებამდე, სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა წარუდგინონ სარეკომენდაციო მომართვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების ვადების მითითებით. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და განცხადება პირის/ოჯახის ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა ქვეპროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, არაუმეტეს 1 წლისა. ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად ქალაქ ქუთაისიდან გადასვლისა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 16.2.1.1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებთანაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო 1-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებზე ძალადობის პრევენციის და ოჯახის გამლიერების მიზნით).**

ბ.რ) საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის" დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 17). ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გამლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფელს“ შორის

გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, მოხდება საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის („დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება“) დაფინანსება, რომლის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება. კერძოდ, კომუნალური გადასახადების, კვებისა და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება ყოველთვიურად, არაუმეტეს 20 ბენეფიციარისა. ორგანიზაციამ მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით, წერილ–ობით მომართვასთან ერთად თანდართული ფორმით უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი, ბენეფიციართა სია, ანგარიშ-ფაქტურა, საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია, ყოველთვიური მენიუ და ბენეფიციართა რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტი (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ს) ქვეპროგრამა: გადაუდებელი რეაგირება (პროგრამული კოდი 06 02 19). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას. ბენეფიციარები სხვადასხვა მომხდარ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყვნენ: სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ხანდაზმული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, უსახლკარო პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები, მხარდაჭერის მიმღები პირები, ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირი, რომელიც შესაძლებელია იყოს ზემოაღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში; ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ შესაბამის დახმარებას გონივრულ, შესაძლო მოკლე ვადაში. მატერიალური დახმარების შემთხვევაში თითოეულ შემთხვევაზე ბენეფიცი განსაზღვრულია არაუმეტეს 1500 ლარისა. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ტ) ქვეპროგრამა: მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა (პროგრამული კოდი 06 02 20). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური/ხმოვანი აპარატების შეძენა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.უ) ქვეპროგრამა: გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 21). ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლი ქალების, კერძოდ: გენდერული ნიშნითა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგოებისთვის ფსიქიატრიული სერვისების მიწოდება. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგოები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ჩართვას. ქვეპროგრამის მომსახურების მიწოდებელს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წამების მსხვერპლთა ფსიქო–სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი“ („GCRT“), რომელიც პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნითა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგოებისათვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას. კერძოდ: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მომსახურებას, ასევე, ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც განხორციელდება ქუთაისის

მერიის წილობრივი ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც განისაზღვრება 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 20 ბენეფიციარი. ბენეფიციარების ქვეპროგრამაში ჩართვა: სერვისში რეფერირებას მოახდენს განმახორციელებელი – ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური. ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრს შესაძლებლობა აქვს პროგრამაში ჩართვის მიზნით მიიღოს ორგანიზაციაში თვითდინებით მისული პაციენტები, ხოლო ამის შემდგომ „GCRT-ის“ ქუთაისის სარეაბილიტაციო გუნდი იმოქმედებს შემდეგი სქემის შესაბამისად: საწყის ეტაპზე, სოციალური მუშაკი წარმართავს ბენეფიციარის პირველად ინტერვიუებას, საჭიროებების განსაზღვრას და აწარმოებს შემთხვევის მართვას სკრინინგ-ინსტრუმენტების გამოყენებით. შემდეგ ეტაპზე ცენტრის სარეაბილიტაციო მულტიდისციპლინური გუნდი მოახდენს ბენეფიციარისათვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამისი მომსახურების დაგეგმვას, როგორც ცენტრის შიგნით, ისე გარე რეფერალური სერვისის, ფსიქიატრის კონსულტაციისა და საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახით. ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურება აღირიცხება ცენტრის მიერ სპეციალურად შემუშავებულ ფორმაში – „ანგარიში ბენეფიციარისთვის გაწეული მომსახურების შესახებ“, რომელსაც ყოველთვიურად წარუდგენს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას. დოკუმენტში ასახული იქნება გაწეული კონსულტაციებისა და გაცემული მედიკამენტების შესახებ ინფორმაცია და რაოდენობა, გამოსახული ფულად ერთეულში, რომელიც დამოწმებული იქნება ბენეფიციარის ხელმოწერით. მომსახურების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოსათვის თანხის ანაზღაურება განხორციელდება წინასწარ, ყოველკვარტლურად, რომლის შემდეგ მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მერიას წარუდგინოს გადახდილი ავანსის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მომსახურების მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მიზნით, სოციალურ საკითხთა სამსახურში უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს შესახებ ფინანსური ანგარიში კვარტალში ერთხელ, თანდართული ფორმით. კერძოდ, გაწეული კონსულტაციების, მედიკამენტების გაცემისა და ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესრულებული სამუშაოს დადასტურების შემთხვევაში, ქვეპროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ფ) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 22). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე ფაქტობრივად მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ფინანსურ დახმარებას. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ახალშეძენილი შვილიანი ოჯახი, რომელიც ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს, 2025 წელს შეძენილ თითოეულ შვილზე გაეწევა მატერიალური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, გარდა „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისა. ქვეპროგრამის მიზნებისთვის დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახი წარმოადგენს ერთ განცალკევებულ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ პირთა წრეს, რომლებიც ეწევიან ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას. სავალდებულოა, რომ ორივე მშობელი მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში, ხოლო ერთ-ერთი მაინც ბოლო რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისში. მშობელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას/სოციალურ საკითხთა სამსახურს მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ქორწინების მოწმობა, ახალშეძენილი შვილის დაბადების მოწმობა, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, სარეგისტრაციო ბარათი იუსტიციის სახლიდან და საბანკო რეკვიზიტები (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ქ) ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 23). ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერებას, რომლებსაც აქვთ სურვილი, ან უკვე ეწევიან მიკრო ან მცირე მეწარმეობას. პროექტების დაფინანსება განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.დ) ქვეპროგრამა: ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება (პროგრამული კოდი 06 02 26). ქვეპროგრამის მიზანია ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნათა და არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე. ბავშვთა სიღარიბე და ბავშვთა მიმართ ძალადობა კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოს ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემისათვის, მიუხედავად ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯებისა. ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ სამიზნე ჯგუფებიდან, ერთს მაინც აკმაყოფილებს: ოჯახი, რომლის სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს; გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახი (საფუძველი: სოციალური მუშაკის დასკვნა); ოჯახი, სადაც ერთ-ერთი მშობელი, დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს; ოჯახი, რომელსაც ჰყავს სუსტი თანადგომის ქსელი (საფუძველი: სოციალური მუშაკის დასკვნა); ოჯახი, სადაც ერთი მშობელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია; ოჯახი, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია; ქვეპროგრამით ვერ ისარგებლებს ოჯახი, რომელსაც უკვე ნასარგებლები აქვს გასული პერიოდის განმავლობაში. ქვეპროგრამის განხორციელება მიმართულია ბავშვიანი ოჯახისთვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს, კერძოდ: ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახთან ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომით სოციალური მუშაკის ბავშვისა და ოჯახის შეფასება/დასკვნის მომზადება; ოჯახის ეკონომიკური გაძლიერება; პოზიტიური მშობლობის ტრენინგ-კურსის უზრუნველყოფა. ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსზე/შემოსავალზე ეხმარება მშობლებს/მზრუნველებს ინვესტირება განახორციელონ მათი შვილების ღირსების დაცვის, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვაში. ქვეპროგრამაში მონაწილე თითოეული ოჯახის მხარდაჭერა განხორციელდება მომსახურების ან/და საქონლის/პროდუქტის შესყიდვის სახით შემდეგი მიზნებისთვის: პროფესიული გადამზადება/სტაჟირება დასაქმებისთვის, შემოსავლების მომტანი საქმიანობის წამოწყება ან არსებულის გაფართოება - ინვენტარის შექმნა. ქვეპროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში, თითოეულ შემთხვევაზე, ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა განისაზღვრება არაუმეტეს 6000 ლარის ფარგლებში. მშობლებში პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებში ბავშვის აღზრდის საკითხებზე ცოდნისა და პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება აქტივობები, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისა და ძალადობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე, კერძოდ; ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს მათსა და ბავშვს შორის ეფექტურ კომუნიკაციას; მშობელსა და ბავშვებს შორის თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას; მშობლის ხელშეწყობით ბავშვებსა და მოზარდებში სოციალური კომპეტენციის განვითარებასა და პრობლემური ქცევის შემცირებას; ასაკობრივი თავისებურებებისა და სირთულეების გაცნობას; მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ პრობლემური სიტუაციის სწორად გაანალიზებას; მშობლის სოციალური უნარებისა და ოჯახის დაგეგმარების სწავლას. პროგრამაში მონაწილე მშობლებს/მზრუნველებს ბავშვის აღზრდის საკითხებზე ცოდნასა და პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მუშაობა

უნდა ჩაუტარდეს ჯგუფური ფორმატით, ინტერაქციული სწავლების მეთოდების და კონკრეტული უნარ-ჩვევების განმავითარებელი სავარჯიშოების გამოყენებით, წინასწარ წარმოდგენილი ტრენინგ-მოდულით, რომელიც ორგანიზაციის მიერ არის ადაპტირებული და ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას. ერთი სატრენინგო ჯგუფი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 10 სესიას, რომელიც ჩატარდება კვირაში ორჯერ. მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება ქვეპროგრამაში შერჩეული ოჯახების სრულწლოვანი წევრების რაოდენობის მიხედვით, მაქსიმუმ 10. აღნიშნულ კომპონენტში ჯგუფურ მუშაობას ჩაატარებს ფსიქოლოგი, ან სოციალური მუშაკი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მსგავსი ტიპის პროგრამაში მონაწილეობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ მომსახურების მიმღებ სავარაუდო წევრს უნდა ჰქონდეს სურვილი/მოტივაცია და საჭიროება. ქვეპროგრამაში ჩართვის წინ, მომსახურების მიმღებ პოტენციურ მონაწილესთან უნდა მოხდეს ფორმალური შეთანხმება, რომ აუცილებლად დაესწროს ყველა სესიას, რადგან პროცესი არის დინამიური, თანმიმდევრული, უწყვეტი (ამასთან, წინა სესიების თეორიული მასალის განმტკიცება ხდება მომდევნო სესიაზე პრაქტიკული სავარჯიშოებით). ჯგუფში ჩართული უნდა იყოს ერთ-ერთი მშობელი ან ოჯახის სხვა უფლებამოსილი პირი, სასურველია ბავშვის აღზრდის უშუალო მონაწილე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველი ვალდებულებას იღებს ურთიერთთანამშრომლობაზე. ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია არის: განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში – პასპორტისა და იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლთან ერთად; კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არქონის დროს, პირველ ეტაპზე შესაძლებელია, საქმისწარმოების დაწყების საფუძველი გახდეს შესაბამისი უწყებიდან (სსიპ სამოქალაქო რეესტრი) წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი); ბავშვის დაბადების მოწმობა; არსებული სამეწარმეო საქმიანობის გაფართოების შემთხვევაში დამატებით ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების მიერ. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაცია გადაეცემა ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეულ მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმღები ბენეფიციარის კუთხით იმუშავებს მომსახურების მიწოდებელი ორგანიზაცია. სოციალური მუშაკის დასკვნის, აგრეთვე, მომსახურების მიმწოდებლის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შესრულდება 20 დღის განმავლობაში, ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის კუთხით გადაწყვეტილებას მიიღებს ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფი შეიკრიბება საჭიროებისამებრ, მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღეში. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველს, შედეგების შესახებ ეცნობება სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წერილობით, სამუშაო ჯგუფის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდება წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით, საბიუჯეტო წლის განმავლობაში. მხარდაჭერის ნებისმიერ კომპონენტში მუნიციპალიტეტი თავის თავს მოიაზრებს ისეთი საჭიროების დაკმაყოფილებაზე, რომელიც სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არ არის უფასოდ მიწოდებული. ქვეპროგრამის პროცესში, მომსახურების მიღების მიზნით შეირჩევა მაქსიმუმ 10 ოჯახი. **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).**

ბ.ყ) ქვეპროგრამა: პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 28). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 0-დან 18 წლამდე /18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით/ პირთა ფინანსურ დახმარებას, მკურნალობისათვის საჭირო, ჯანსაღი კვების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით. ქვეპროგრამაში ჩართვის

მიზნით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურს შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით, კერძოდ: მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობით, ბენეფიციარის დაბადების მოწმობით; სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა №100-ით); შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტით, საბანკო რეკვიზიტებით; საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტით სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე. დახმარება გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მომართვის თვიდან ყოველთვიურად, 100 (ასი) ლარის ოდენობით. **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).**

ბ.შ) ქვეპროგრამა: გლაუკომით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 29). ქვეპროგრამით ისარგებლებენ: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა ანტიგლაუკომატოზური პრეპარატებით დახმარება 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ იფარება, კერძოდ: ბენეფიციარები, რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა მერყეობს 100000 - დან 150000 - მდე. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად ფორმა N100-ის მიხედვით, არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების ანტიგლაუკომატოზური პრეპარატებით. ბენეფიციარები ბენეფიტს მიიღებენ წელიწადში ორჯერ, 70 ლარის ღირებულების მატერიალიზებული ვაუჩერით. ბენეფიციარი დახმარების მიღების მიზნით, განცხადებასთან ერთად წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტაციას: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).**

გ) პროგრამა: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03). ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით (2025–2028) გათვალისწინებული აქტივობების შესრულებით განხორციელდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შექმნისა და აღსრულების ხელშეწყობა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა, ქალების საჭიროებების, მოთხოვნებისა და ინტერესების გატარების გზით, საბჭოს ძლიერ, სანდო, გამჭვირვალე, თანასწორობის ეფექტურ, ინკლუზიურ და მდგრად ინსტიტუციად ჩამოყალიბებით. პროგრამის მიზანია ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. მათ შორის, საბჭოს ეფექტური ინსტიტუციური საქმიანობის ხელშეწყობა, საბჭოს გაძლიერება და გააქტიურება გენდერული თანასწორობის, ცნობიერების ამაღლების, ეფექტური კომუნიკაციისა და მგრძობელობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: SDG 5 – გენდერული თანასწორობა; SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა).**

7. პრიორიტეტი: ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 00). ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის 2025 წელს განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ხელშეწყობას, ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტორების დაინტერესებას ქალაქის მიმართ; ქუთაისის, რეგიონის ტურისტულ ჰაბად ჩამოყალიბების ხელშეწყობას, გენერალური განვითარების გეგმის ცალკეული კომპონენტების მომზადებას, მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვის უზრუნველყოფას **(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).**

ა) **პროგრამა: თვითმმართველობის ქონების შეფასება, რეგისტრაცია, დაცვა და ბალანსზე აყვანა (პროგრამული კოდი 07 01)**. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტ აღრიცხვას და ბალანსზე აყვანას; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის დაურეგისტრირებელი) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებას ელ.ვერსიით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხაზოვანი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებას ელ.ვერსიით, ადგილზე „GPS“ კოორდინატების გადამოწმებას, აგრეთვე, ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან/და აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ – მოძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მოძრავი ქონება) აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრას, შესაბამისი ზონებისა და ქვეზონების მიხედვით; ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული უძრავი ქონების, მათ შორის: რკინა-ბეტონის კონსტრუქციის, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, წილებისა და აქციების, შპს-ების 100%-იანი წილის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრას. ამასთან, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (სკვერი, გაზონი, ტროტუარი, ხიდი, მოედანი, პარკი, ნაპირსამაგრი ნაგებობა, გარე განათების კონსტრუქცია, მიწისქვეშა გადასასვლელი, გვირაბი) სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის, წლიური ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის (1.0 კვ.მ.) საწყისი საფასურის განსაზღვრას (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

ბ) **პროგრამა: ქალაქის გენერალური გეგმის შედგენა (პროგრამული კოდი 07 02)**. პროგრამა ითვალისწინებს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო დავალების მომზადებას ქალაქის გენერალური გეგმის დამუშავების მიზნით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა მოიცავს დასახლების მთელ ტერიტორიას, ან მის ნაწილებს. გეგმების შესრულება სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილია დასახლების სივრცით-ტერიტორიული განვითარების ზოგადი პრინციპები, რომლებიც საჭიროებისამებრ ზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმებში (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

გ) **პროგრამა: ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 03)**. პროგრამით განსაზღვრულია თემატური საერთაშორისო ფორუმის ორგანიზება, რომელიც წარმოაჩენს ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის საინვესტიციო და სამეწარმეო შესაძლებლობებს, მეორეს მხრივ, გაზრდის ქალაქის ცნობადობას საერთაშორისო პოზიციებზე, რაც ბიძგს მისცემს პოტენციურ უცხოურ კომპანიებსა და ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს შორის ურთიერთთანამშრომლობას. დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორისათვის მასტიმულირებელ აქტივობას წარმოადგენს მათი საქმიანობისა და პროდუქციის წარმოჩენის ხელშეწყობა, რისთვისაც წლის განმავლობაში მოეწყობა ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვები და სხვადასხვა სახის ფესტივალები. იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისი მიერთებულია ევროკავშირის ინიციატივებს „მერების შეთანხმება“, „პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებებზე“, სხვა აღებული ვალდებულებების ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სადემონსტრაციო ინტერვენციები მდგრადი განვითარების, ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების დანერგვისა და ენერგოეფექტურობაზე მოსახლეობის ცნობიერების

ამაღლებასთან დაკავშირებით. 2025 წელს განხორციელდება ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის სუბსიდირება რეაბილიტაციის მიზნით (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

დ) პროგრამა: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 04). მდგრადი განვითარების ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის რეგიონისთვის უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას და შეუწყობს ხელს ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას; ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორებსა და თვითონ ორგანიზაციის წევრებს შორის; ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას, როგორც ორგანიზაციის წევრების, ასევე ზოგადად, ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის ტურიზმის სექტორის საკეთილდღეოდ; წაახალისებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას ქალაქ ქუთაისის ტურიზმის პოპულარიზებისთვის აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად; აქტივობების განხორციელება სტრატეგიის შემუშავებისა და ტურიზმის განვითარების კუთხით, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით; კავშირების დამყარება რეგიონული განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან; ადგილობრივი ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზების ხელშეწყობა; მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებში (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; 8.9.1.1. იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის („DMO“) სერვისებით მოსარგებლე ვიზიტორთა რაოდენობა ქალაქ ქუთაისში; 8.9.1.2. ტურიზმის განვითარების პროგრამების ფარგლებში დახარჯული თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში).

თ ა ვ ი III

ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებები

(ათას ლარში)

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი		
				სულ	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
20	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ხარჯები	117,711.5	150,805.8	108,530.4	0.0	108,530.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	245	245	4814	0	4814

2	ხარჯები	88,989.8	101,935.0	101,020.1	0.0	101,020.1
21	შრომის ანაზღაურება	39,947.5	45,482.5	51,199.5	0.0	51,199.5
22	საქონელი და მომსახურება	21,485.0	25,236.8	26,458.7	0.0	26,458.7
24	პროცენტი	2,748.8	2,255.5	1,377.8	0.0	1,377.8
25	სუბსიდიები	8,673.0	11,658.6	11,207.3	0.0	11,207.3
26	გრანტები	260.7	85.0	60.0	0.0	60.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	6,530.1	7,684.2	7,573.0	0.0	7,573.0
28	სხვა ხარჯები	9,344.7	9,532.4	3,143.8	0.0	3,143.8
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	24,853.5	44,941.1	3,512.1	0.0	3,512.1
33	ვალდებულებების კლება	3,868.2	3,929.7	3,998.2	0.0	3,998.2
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	20,494.9	23,931.0	21,254.2	0.0	21,254.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	245	245	409	0	409
2	ხარჯები	15,807.2	18,272.5	17,077.5	0.0	17,077.5
21	შრომის ანაზღაურება	8,072.2	9,115.0	10,323.0	0.0	10,323.0
22	საქონელი და მომსახურება	3,077.6	6,109.5	4,561.7	0.0	4,561.7
24	პროცენტი	2,748.8	2,255.5	1,377.8	0.0	1,377.8
25	სუბსიდიები	206.3	0.0	0.0	0.0	0.0
26	გრანტები	26.4	25.0	0.0	0.0	0.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	256.8	265.0	290.0	0.0	290.0
28	სხვა ხარჯები	1,419.1	502.5	525.0	0.0	525.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	819.5	1,728.8	178.5	0.0	178.5
33	ვალდებულებების კლება	3,868.2	3,929.7	3,998.2	0.0	3,998.2
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	11,134.5	12,399.3	12,909.0	0.0	12,909.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	245	245	353	0	353
2	ხარჯები	10,495.1	11,552.6	12,759.0	0.0	12,759.0
21	შრომის ანაზღაურება	7,228.7	8,000.0	9,098.0	0.0	9,098.0
22	საქონელი და მომსახურება	2,717.7	3,002.6	3,041.0	0.0	3,041.0
25	სუბსიდია	9.0				
26	გრანტები	26.4	25.0	0.0	0.0	0.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	243.4	255.0	280.0	0.0	280.0
28	სხვა ხარჯები	269.9	270.0	340.0	0.0	340.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	639.4	846.7	150.0	0.0	150.0
01 01 01	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,991.3	2,368.0	2,549.0	0.0	2,549.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	34.0	34.0	34		34
2	ხარჯები	1,978.9	2,268.0	2,499.0	0.0	2,499.0
21	შრომის ანაზღაურება	1,343.4	1,480.0	1,648.0		1,648.0
22	საქონელი და მომსახურება	564.4	693.0	751.0	0.0	751.0
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	253.4	292.0	331.0		331.0
222	მივლინება	17.5	30.0	15.0		15.0

223	ოფისის ხარჯი	22.3	25.0	75.0		75.0
224	წარმომადგენლობითი ხარჯი	26.9	50.0	50.0		50.0
227	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	0.5	20.0	20.0		20.0
228	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	227.3	270.0	250.0		250.0
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	16.5	6.0	10.0		10.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	41.8	55.0	60.0		60.0
28	სხვა ხარჯები	29.3	40.0	40.0		40.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.4	100.0	50.0		50.0
33	ვალდებულებების კლება		0.0	0.0		
01 01 02	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	8,761.0	9,931.3	10,260.0	0.0	10,260.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	211.0	211.0	319		319
2	ხარჯები	8,134.0	9,184.6	10,160.0	0.0	10,160.0
21	შრომის ანაზღაურება	5,633.9	6,520.0	7,450.0		7,450.0
22	საქონელი და მომსახურება	2,040.0	2,209.6	2,190.0	0.0	2,190.0
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	357.0	529.6	520.0		520.0
222	მივლინება	33.4	40.0	50.0		50.0
223	ოფისის ხარჯი	768.6	720.0	700.0		700.0
224	წარმომადგენლობითი ხარჯი	208.5	200.0	200.0		200.0
226	სამედიცინო ხარჯი		0.0	0.0		
227	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	6.9	20.0	20.0		20.0
228	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	285.1	350.0	350.0		350.0
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	380.5	350.0	350.0		350.0
25	სუბსიდია	9.0	0.0	0.0		
26	გრანტები	26.4	25.0	0.0		
27	სოციალური უზრუნველყოფა	191.1	200.0	220.0		220.0
28	სხვა ხარჯები	233.6	230.0	300.0		300.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	627.0	746.7	100.0		100.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	304.7	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0.0	0.0		
2	ხარჯები	304.7	0.0	0.0	0.0	0.0
21	შრომის ანაზღაურება	251.4	0.0	0.0		
22	საქონელი და მომსახურება	35.8	0.0	0.0		
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		0.0	0.0		
222	მივლინება	1.7	0.0	0.0		

223	ოფისის ხარჯი	13.1	0.0	0.0		
228	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	21.0	0.0	0.0		
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		0.0	0.0		
27	სოციალური უზრუნველყოფა	10.5	0.0	0.0		
28	სხვა ხარჯები	7.0	0.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა		0.0	0.0		
01 01 04	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება - გადამზადება	77.5	100.0	100.0	0.0	100.0
2	ხარჯები	77.5	100.0	100.0	0.0	100.0
22	საქონელი და მომსახურება	77.5	100.0	100.0		100.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	9,360.4	11,531.7	8,345.2	0.0	8,345.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0.0	56		56
2	ხარჯები	5,312.1	6,719.9	4,318.5	0.0	4,318.5
21	შრომის ანაზღაურება	843.5	1,115.0	1,225.0	0.0	1,225.0
22	საქონელი და მომსახურება	359.9	3,106.9	1,520.7	0.0	1,520.7
24	პროცენტი	2,748.8	2,255.5	1,377.8	0.0	1,377.8
25	სუბსიდიები	197.3	0.0	0.0		0.0
26	გრანტები					
27	სოციალური უზრუნველყოფა	13.4	10.0	10.0	0.0	10.0
28	სხვა ხარჯები	1,149.2	232.5	185.0	0.0	185.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	180.1	882.1	28.5	0.0	28.5
33	ვალდებულებების კლება	3,868.2	3,929.7	3,998.2	0.0	3,998.2
01 02 01	სარეზერვო ფონდი	943.9	1,200.0	1,200.0	0.0	1,200.0
2	ხარჯები	943.9	1,200.0	1,200.0	0.0	1,200.0
22	საქონელი და მომსახურება		1,200.0	1,200.0		1,200.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	4.4	0.0	0.0		0.0
28	სხვა ხარჯები	939.5	0.0	0.0		0.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა					
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	204.7	200.0	150.0	0.0	150.0
2	ხარჯები	204.7	200.0	150.0	0.0	150.0
28	სხვა ხარჯები	204.7	200.0	150.0		150.0
33	ვალდებულებების კლება		0.0	0.0		
01 02 03	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მ.გ.ფ.)	6,617.0	6,185.2	5,376.0	0.0	5,376.0
2	ხარჯები	2,748.8	2,255.5	1,377.8	0.0	1,377.8

24	პროცენტი	2,748.8	2,255.5	1,377.8		1,377.8
33	ვალდებულებების კლება	3,868.2	3,929.7	3,998.2		3,998.2
01 02 04	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	145.5	200.0	200.0	0.0	200.0
2	ხარჯები	145.5	200.0	200.0	0.0	200.0
22	საქონელი და მომსახურება	145.5	200.0	200.0		200.0
01 02 05	საგრანტე პროგრამა escapeland - ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში	75.8	5.0	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	68.9	5.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	68.9	5.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.9	0.0	0.0		
01 02 06	ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია	982.0	1,409.3	1,419.2	0.0	1,419.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	56		56
2	ხარჯები	940.2	1,248.8	1,390.7	0.0	1,390.7
21	შრომის ანაზღაურება	843.5	1,115.0	1,225.0		1,225.0
22	საქონელი და მომსახურება	85.3	91.3	120.7		120.7
27	სოციალური უზრუნველყოფა	9.0	10.0	10.0		10.0
28	სხვა ხარჯები	2.4	32.5	35.0		35.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	41.8	160.5	28.5		28.5
01 02 07	საგრანტე პროგრამა - მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)	138.4	313.2	0.0		0.0
2	ხარჯები	7.0	0.0	0.0		0.0
22	საქონელი და მომსახურება	7.0	0.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	131.4	313.2	0.0		
01 02 08	საგრანტე პროგრამა - ქუთაისი-ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის	253.1	1,610.6	0.0		0.0
2	ხარჯები	253.1	1,610.6	0.0		0.0
22	საქონელი და მომსახურება	53.2	1,610.6	0.0		
25	სუბსიდიები	197.3	0.0	0.0		
28	სხვა ხარჯები	2.6	0.0	0.0		
01 02 09	EU4ITD - ქუთაისის, როგორც რეგიონის ტურისტული ჰაბის ცნობადობის ამაღლება შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის გზით	0.0	408.4	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება		0.0	0.0		
25	სუბსიდიები		0.0	0.0		
28	სხვა ხარჯები		0.0	0.0		

31	არაფინანსური აქტივების ზრდა		408.4	0.0		
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	31,803.0	49,048.1	14,622.6	0.0	14,622.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0.0	291		291
2	ხარჯები	15,951.1	18,132.3	12,177.0	0.0	12,177.0
21	შრომის ანაზღაურება	679.5	750.0	887.0	0.0	887.0
22	საქონელი და მომსახურება	4,888.3	5,928.1	5,290.0	0.0	5,290.0
25	სუბსიდიები	4,000.0	4,660.0	5,500.0	0.0	5,500.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	1.7	5.0	50.0	0.0	50.0
28	სხვა ხარჯები	6,381.6	6,789.2	450.0	0.0	450.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,851.9	30,915.8	2,445.6	0.0	2,445.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11,894.9	15,871.4	1,700.0	0.0	1,700.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0.0	0.0		
2	ხარჯები	1,313.7	2,226.0	1,700.0	0.0	1,700.0
22	საქონელი და მომსახურება	1,313.7	2,226.0	1,700.0	0.0	1,700.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,581.2	13,645.4	0.0	0.0	0.0
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	9,912.7	9,375.3	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება		0.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,912.7	9,375.3	0.0		
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	1,150.5	1,956.0	1,500.0	0.0	1,500.0
2	ხარჯები	1,150.5	1,956.0	1,500.0	0.0	1,500.0
22	საქონელი და მომსახურება	1,150.5	1,956.0	1,500.0		1,500.0
02 01 03	სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა	705.7	4,340.1	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	37.2	70.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	37.2	70.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	668.5	4,270.1	0.0		
02 01 04	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების შექმნა-ექსპლოატაცია	126.0	200.0	200.0		200.0
2	ხარჯები	126.0	200.0	200.0		200.0
22	საქონელი და მომსახურება	126.0	200.0	200.0		200.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა		0.0	0.0		
02 03	გარე განათება და საგზაო ნიშნები	3,473.5	4,501.3	4,627.0	0.0	4,627.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0.0	58		58
2	ხარჯები	3,403.2	4,401.3	4,527.0	0.0	4,527.0
21	შრომის ანაზღაურება	679.5	750.0	887.0	0.0	887.0
22	საქონელი და მომსახურება	2,722.0	3,646.3	3,590.0	0.0	3,590.0
25	სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

27	სოციალური უზრუნველყოფა	1.7	5.0	50.0	0.0	50.0
28	სხვა ხარჯები		0.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	70.3	100.0	100.0	0.0	100.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია	515.5	1,335.5	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	0.0	217.6	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	0.0	217.6	0.0	0.0	0.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	515.5	1,117.9	0.0	0.0	0.0
02 04 01	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია	0.0	217.6	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	0.0	217.6	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება		0.0	0.0		
28	სხვა ხარჯები		217.6	0.0		
02 04 02	ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	390.8	1,040.1	0.0	0.0	0.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	390.8	1,040.1	0.0		
02 04 03	ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	124.7	77.8	0.0	0.0	0.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	124.7	77.8	0.0		
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	1,896.1	2,821.1	50.0	0.0	50.0
2	ხარჯები	1,896.1	2,821.1	50.0	0.0	50.0
22	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	1,896.1	2,821.1	50.0	0.0	50.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა	17.3	590.0	50.0	0.0	50.0
2	ხარჯები	17.3	590.0	50.0	0.0	50.0
22	საქონელი და მომსახურება		0.0	0.0		
28	სხვა ხარჯები	17.3	590.0	50.0		50.0
02 05 02	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	202.2	510.8	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	202.2	510.8	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	202.2	510.8	0.0		
02 05 03	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა	4.7	223.1	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	4.7	223.1	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	4.7	223.1	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა		0.0	0.0		

02 05 04	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია	36.4	168.5	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	36.4	168.5	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	36.4	168.5	0.0		
02 05 05	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	68.3	123.0	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	68.3	123.0	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	68.3	123.0	0.0		
02 05 06	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია	0.0	675.8	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	0.0	675.8	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები		675.8	0.0		
02 05 07	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შექმნა- გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება	752.7	499.9	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	752.7	499.9	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	752.7	499.9	0.0		
02 05 08	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა	24.1	30.0	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	24.1	30.0	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	24.1	30.0	0.0		
02 05 09	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)	790.4	0.0	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	790.4	0.0	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	790.4	0.0	0.0		
02 06	ქალაქის კეთილმოწყობა	6,011.5	9,760.3	545.6	0.0	545.6
2	ხარჯები	3,589.2	3,606.3	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	852.6	55.8	0.0	0.0	0.0
25	სუბსიდიები		0.0	0.0		
28	სხვა ხარჯები	2,736.6	3,550.5	0.0	0.0	0.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,422.3	6,154.0	545.6	0.0	545.6
02 06 01	ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1,707.8	5,314.3	0.0	0.0	0.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,707.8	5,314.3	0.0		

02 06 02	ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	448.2	800.0	295.6	0.0	295.6
2	ხარჯები	15.1	0.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	4.9				
28	სხვა ხარჯები	15.1	0.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	428.2	800.0	295.6		295.6
02 06 03	მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა	12.9	20.0	50.0	0.0	50.0
2	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება		0.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.9	20.0	50.0		50.0
02 06 04	მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	2,721.5	3,550.5	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	2,721.5	3,550.5	0.0	0.0	0.0
28	სხვა ხარჯები	2,721.5	3,550.5	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა		0.0	0.0		
02 06 05	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	399.3	19.7	200.0	0.0	200.0
2	ხარჯები	125.9	0.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	125.9	0.0	0.0		
25	სუბსიდიები		0.0	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	273.4	19.7	200.0		200.0
ადგილობრივი თვითმმართველობა მისი უფლებამოსილების ფარგლებში ელექტრონული სერვისების საშუალებით ახდენს მუნიციპალური მომსახურებების ეფექტურ მიწოდებას. ამ მიზნისათვის კერძო-საჯარო პარტნიორობის, ინფორმაციის პროაქტიულობის და გამჭირვალობის მიზნით დანერგულია შემდეგი ელექტრონული სერვისები. მერიის ოფიციალური ვებ გვერდი Kutaisi.gov.ge, კერძო სექტორს მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ვებ-გვერდების spa.gov.ge და eauction.gov.ge

საინვესტიციო გარემო და ადგილობრივი ეკონომიკა.

ქუთაისში ბიზნესის წარმოება და ინვესტირება დაბალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც განპირობებულია ერთის მხრივ ხელმისაწვდომ უძრავ ქონებაზე და მეორეს მხრივ სამუშაო ძალაზე, მუდმივად განვითარებად ინფრასტრუქტურაზე, სიახლოვით ევროპა-აზიის მთავარ მაგისტრალთან, სარკინიგზო ხაზთან, საერთაშორისო აეროპორტთან და პორტებთან.

საინვესტიციო მიმზიდველობისათვის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის გამოიკვეთება ასევე ქუთაისის იმერეთის რეკრეაციულ ზოლში მდებარეობა, რაც განპირობებულია 50-მდე არსებული საკურორტო-დასასვენებელი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების და კარსტული გამოქვაბულების, ბუნებრივი რესურსებისა და წიაღისეულის ხელმისაწვდომობით, ვაკე რელიეფით და კარგი კლიმატური პირობებით.

ქუთაისს შუაზე ყოფს მდინარე რიონი, რომელიც საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ულევ წყლის და ელექტროენერჯის წარმოების რესურს იძლევა. ქალაქში არსებული 2 ჰიდროელექტრო სადგურის (რიონჰესი, გუმათჰესი) გამომუშავებული ენერჯია 115 მგვტ აღწევს.

ქუთაისი ფაქტობრივად ასრულებს დასავლეთ საქართველოში ვაჭრობის, მომსახურების, განათლების, ტურიზმის, ლოჯისტიკის, ჯანდაცვის ჰაბის ფუნქციას.



ქუთაისი დამმობილებულია მსოფლიოს 18 ქვეყანის 29 ქალაქთან:

- დიდი ბრიტანეთი (ნიუ პორტი);
- აზერბაიჯანი (განჯა);
- ისრაელი (აშკელონი, ჰაიფა);
- აშშ (კოლუმბია);
- უკრაინა (ნიკოლაევი, ლვოვი, ხარკოვი, ზაპოროჟიე, სუმი, ჟიტომორი, დნიპრო);
- პოლონეთი (პოზნანი, კრაკოვი, ვროცლავი);
- თურქეთი (კარშიაკა);
- უნგრეთი (სომბათჰეი);
- ჩინეთი (ნანჩანგი, ლაივუ);
- მოლდოვა (უნგენი);
- სლოვენია (მარიბოლი);
- ლატვია (ვალკა);
- ესტონეთი (ვალგა, ტარტუ);
- ბელარუსი (გომელი);
- იტალია (კოზენცა);
- ლიეტუვა (კაუნასი);
- საფრანგეთი (სტრასბურგი);
- რუმინეთი (იაში).

დამმობილებული ქალაქები ჩართულია ქუთაისის ყოველწლიურ საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფორუმებში, ღონისძიებებში. ხშირია დელეგაციების ურთიერთვიზიტები, კულტურულ-ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში. დამმობილებულ ქალაქებთან ურთიერთობა

მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქუთაისის ცნობადობის ზრდას და საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენას საერთაშორისო არენაზე. მნიშვნელოვანია დაძმობილებულ ქალაქებთან არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის.



ქუთაისის ეკონომიკურ აქტივობებში მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემია სახელმწიფო პროგრამებით განხორციელებული სუბსიდირება. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მიხედვით მზარდია დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა.

ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა ქალაქში და ხასითდება დადებითი ეკონომიკური ეფექტურობით. ამ სექტორში ნელ-ნელა იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა, შესამჩნევი ხდება ინვესტიციების ზრდის ტენდენციები.

ქუთაისში ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოში სიდიდით გამორჩეული იმერეთის მიმართულების მართვის ორგანიზაცია (DMO), რომელიც თავისი საქმიანობით პოპულარიზაციას

უწევს ტურიზმის პოტენციალს, ამზადებს და ავრცელებს საიმიჯო კლიპებს, სისტემატიურად აწყობს ინფო ტურებს და მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე, რითაც ხელი ეწყობა როგორც ქუთაისის, ასევე იმერეთის რეგიონის ტურისტული ინდუსტრიის პოპულარიზაციას და მოქნილ, კონკურენტუნარიან რეგიონად წარმოჩენას.

ქალაქში მომატებული ტურისტების რაოდენობა ბიძგს აძლევს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. კვლავ მცირეა საერთაშორისო ბრენდირებული სასტუმროების რაოდენობა,

თუმცა იზრდება საოჯახო ტიპის სასტუმრო-სახლები და ჰოსტელები. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, სადაც მოქმედი აგრობაზრობები, სავაჭრო-სადისტრიბუციო ცენტრები უზრუნველყოფენ რეგიონის სავაჭრო აქტივობებს, მაგრამ არასაკმარისად განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები სრულად ვერ პასუხობენ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად არსებული გამარტივებული სარეგისტრაციო პროცედურების და მზარდი ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისა, მცირეა მათი სიცოცხლისუნარიანობა. წარმოებაში არსებული დაბალი კონკურენტუნარიანობა, არსებული ამორტიზებული ტექნიკა, არასაკმარისი მიწა და ინფრასტრუქტურა, დაფინანსების მიღებისათვის დაწესებული საბანკო პირობები და მაღალი საპროცენტო განაკვეთები, არაკვალიფიციური კადრები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პარტნიორების ნაკლებობა ბიზნესის ძირითადი ბარიერებია.

ქუთაისი ცდილობს, გაუმკლავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, სახელმწიფო პროგრამები და ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისი არ არის ქალაქის ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებისთვის. აშკარად შესამჩნევი ხდება კერძო ინვესტიციების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა. არასაკმარისად არის განვითარებული კერძო და საჯარო სექტორში რესურს დამზოგი ტექნოლოგიები და ენერგოეფექტური სისტემები.

ქუთაისი საქართველოს ურბანული ეკონომიკის ქალაქების დიდ ოთხეულში შედის, სადაც თანმიმდევრულად იზრდება ადგილობრივი ეკონომიკა, შესაძლებელია ზრდის პროცესი კიდევ მეტად პროდუქტიული გახდეს საერთაშორისო ფორმებისა და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებით, რომლებსაც შეუძლია ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის. საინვესტიციო მიმზიდველ დარგებად მიიჩნევა უძრავი ქონება, ტრანსპორტი, მშენებლობა, მცირე საწარმოები, სასტუმრო ინდუსტრია.

კვლავ შეუმუშავებელია მიწათსარგებლობისა და განაშენიანების გეგმა, რაც უძრავი ქონების და სამშენებლო სექტორში ინვესტირებას აფერხებს. თუმცა ბიზნეს სექტორისათვის კვლავინდებურად ინტერესის სფეროს წარმოადგენს თავისუფალი მუნიციპალური უძრავი ქონება.

საშუალოვადაიან პერესპექტივაში ინვესტირების ზრდა დამოკიდებული იქნება სისტემურ ხელისშემშლელ ფაქტორებთან გამკლავებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობა პრიორიტეტად მიიჩნევს იმ სისტემური ბარიერების მოხსნას, რომელიც მის კომპეტენციაშია და დაძლევადა ქალაქის რესურსებით: ა) სივრცითი განვითარების და მიწათსარგებლობის გეგმის დასრულება, აქტივების (მიწა და შენობა-ნაგებობები) აღწერა, სისტემატიზაცია და ელექტრონული სერვისების დანერგვა დაინტერესებულ პირთათვის დისტანციურად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ბ) ქალაქის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და გამოცდილების არსებობას, ახალი ტურისტული ატრაქციებისა და პროდუქტების შექმნას მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, ცენტრალურ უწყებებთან და ბიზნესთან მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობით.

მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი



მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

ქუთაისის განვითარების საშუალოვადაიანი ხედვა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადაიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ სამომავლო მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ

წინამდებარე პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდგომარეობის დადგომას, რასაც ქალაქის განვითარების ხედვა ითვალისწინებს. ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ფართო ჩართულობა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის დადებით წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ხედვა: ქუთაისი - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. ის ადმინისტრაციულ, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას და ბიზნეს სტრუქტურებს; მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, განათლების მისაღებად, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

მისია: ქუთაისი არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

- მაღალი ხარისხის განათლების სერვისის მიწოდებას;
- მაღალი ხარისხის ადმინისტრაციული, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო სერვისის მიწოდებას;
- საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას;
- საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
- ქალაქის ცნობადობის გაზრდას;
- ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;
- გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;
- ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი			2026 წლის პროგრნოზი	2027 წლის პროგრნოზი	2028 წლის პროგრნოზი
			სულ	მათ შორის:				
				წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
1	2	3	6	7	8	9	10	11
შემოსავლები	95,970.6	117,164.6	96,530.4	0.0	96,530.4	100,361.4	104,978.5	110,899.9
გადასახადები	67,917.7	73,310.8	79,278.0	0.0	79,278.0	84,021.7	89,945.5	96,366.9
გრანტები	14,161.6	27,293.8	312.4	0.0	312.4	313.0	313.0	313.0
სხვა შემოსავლები	13,891.3	16,560.0	16,940.0	0.0	16,940.0	16,026.7	14,720.0	14,220.0
ხარჯები	88,989.8	101,935.0	101,020.1	0.0	101,020.1	102,682.7	103,837.4	106,718.4
შრომის ანაზღაურება	39,947.5	45,482.5	51,199.5	0.0	51,199.5	51,460.0	51,767.0	52,119.0
საქონელი და მომსახურება	21,485.0	25,236.8	26,458.7	0.0	26,458.7	26,330.0	27,163.0	28,590.0
პროცენტი	2,748.8	2,255.5	1,377.8	0.0	1,377.8	1,049.7	768.4	490.4
სუბსიდიები	8,673.0	11,658.6	11,207.3	0.0	11,207.3	11,347.0	11,377.0	12,397.0
გრანტები	260.7	85.0	60.0	0.0	60.0	175.0	185.0	195.0
სოციალური უზრუნველყოფა	6,530.1	7,684.2	7,573.0	0.0	7,573.0	8,375.0	8,518.0	8,621.0
სხვა ხარჯები	9,344.7	9,532.4	3,143.8	0.0	3,143.8	3,946.0	4,059.0	4,306.0
საოპერაციო საღდო	6,980.8	15,229.6	-4,489.7	0.0	-4,489.7	-2,321.3	1,141.1	4,181.5

არაფინანსური აქტივების ცვლილება	14,090.1	22,941.1	-8,487.9	0.0	-8,487.9	-5,610.0	-2,098.8	941.6
ზრდა	24,853.5	44,941.1	3,512.1	0.0	3,512.1	3,390.0	3,520.0	3,945.0
კლება	10,763.4	22,000.0	12,000.0	0.0	12,000.0	9,000.0	5,618.8	3,003.4
მთლიანი სალდო	-7,109.3	-7,711.5	3,998.2	0.0	3,998.2	3,288.7	3,239.9	3,239.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-	10,977.5	-11,641.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	12,550.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	12,550.6		0.0					
კლება	23,528.1	11,641.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	23,528.1	11,641.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-3,868.2	-3,929.7	-3,998.2	0.0	-3,998.2	-3,288.7	-3,239.9	-3,239.9
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო			0.0					
საგარეო			0.0					
კლება	3,868.2	3,929.7	3,998.2	0.0	3,998.2	3,288.7	3,239.9	3,239.9
საშინაო	3,868.2	3,929.7	3,998.2	0.0	3,998.2	3,288.7	3,239.9	3,239.9
საგარეო			0.0					
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2023 წლის ბიუჯეტის ანალიზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 28 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N55 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 5 ცვლილება და წლის ბოლოს დაზუსტებულმა გეგმამ 131146.8 ათასი ლარი შეადგინა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბალანსის შესრულება

თანხა ათას ლარში

დასახელება	2023 წლის გეგმა		2023 წლის ფაქტი		2023 წლის პროცენტული შესრულება	
	სულ	მათ შორის:	სულ	მათ შორის:	სულ %	მათ შორის:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები %	საკუთარი შემოსავლები %
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
შემოსავლები	97,381.2	12,189.2	85,192.0	95,970.7	13,290.8	82,679.9	98.6	109.0	97.1
გადასახადები	66,540.8	0.0	66,540.8	67,917.8	0.0	67,917.8	102.1		102.1
გრანტები	14,982.1	12,189.2	2,792.9	14,161.7	13,290.8	870.9	94.5	109.0	31.2
სხვა შემოსავლები	15,858.3	0.0	15,858.3	13,891.2	0.0	13,891.2	87.6		87.6
ხარჯები	92,412.0	5,860.4	86,551.6	88,989.8	4,422.5	84,567.3	96.3	75.5	97.7
შრომის ანაზღაურება	40,036.6	0.0	40,036.6	39,947.5	0.0	39,947.5	99.8		99.8
საქონელი და მომსახურება	22,608.8	0.0	22,608.8	21,485.0	0.0	21,485.0	95.0		95.0
პროცენტი	2,750.1	0.0	2,750.1	2,748.8	0.0	2,748.8	100.0		100.0
სუბსიდიები	8,721.7	0.0	8,721.7	8,673.0	0.0	8,673.0	99.4		99.4
გრანტები	260.8	0.0	260.8	260.7	0.0	260.7	100.0		100.0
სოციალური უზრუნველყოფა	6,874.9	0.0	6,874.9	6,530.1	0.0	6,530.1	95.0		95.0
სხვა ხარჯები	11,159.1	5,860.4	5,298.7	9,344.7	4,422.5	4,922.2	83.7	75.5	92.9
საოპერაციო საღდო	4,969.2	6,328.8	-1,359.6	6,980.9	8,868.3	-1,887.4	140.5	140.1	138.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	24,116.5	24,666.9	-550.4	14,090.2	16,360.5	-2,270.3	58.4	66.3	412.5
ზრდა	34,866.5	24,666.9	10,199.6	24,853.5	16,360.5	8,493.0	71.3	66.3	83.3
კლება	10,750.0	0.0	10,750.0	10,763.3	0.0	10,763.3	100.1		100.1
მთლიანი საღდო	-19,147.3	-18,338.1	-809.2	-7,109.3	-7,492.2	382.9	37.1	40.9	-47.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	-23,015.6	-18,338.1	-4,677.5	-10,977.5	-7,492.2	-3,485.3	47.7	40.9	74.5
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0			
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0			0.0					
კლება	23,015.6	18,338.1	4,677.5	10,977.5	7,492.2	3,485.3	47.7	40.9	74.5
აქციები და სხვა კაპიტალი	23,015.6	18,338.1	4,677.5	10,977.5	7,492.2	3,485.3	47.7	40.9	74.5
ვალდებულებების ცვლილება	-3,868.3	0.0	-3,868.3	-3,868.2	0.0	-3,868.2	100.0		100.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0			
საშინაო	0.0			0.0					
საგარეო	0.0			0.0					
კლება	3,868.3	0.0	3,868.3	3,868.2	0.0	3,868.2	100.0		100.0

საშინაო	3,868.3	0.0	3,868.3	3,868.2	0.0	3,868.2	100.0		100.0
საგარეო	0.0			0.0					
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0			

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 23528.1 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილების შესრულება:

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			2023 წლის პროცენტული შესრულება		
	სულ	მათ შორის:		სულ	მათ შორის:		სულ %	მათ შორის:	
		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები %	საკუთარი შემოსავლები %
1	6	7	8	6	7	8	6	7	8
შემოსულობები	108,131.2	12,189.2	95,942.0	106,734.0	13,290.8	93,443.2	98.7	109.0	97.4
შემოსავლები	97,381.2	12,189.2	85,192.0	95,970.7	13,290.8	82,679.9	98.6	109.0	97.1
არაფინანსური აქტივების კლება	10,750.0	0.0	10,750.0	10,763.3	0.0	10,763.3	100.1		100.1
გადასახდელები	131,146.8	30,527.3	100,619.5	117,711.5	20,783.0	96,928.5	89.8	68.1	96.3
ხარჯები	92,412.0	5,860.4	86,551.6	88,989.8	4,422.5	84,567.3	96.3	75.5	97.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	34,866.5	24,666.9	10,199.6	24,853.5	16,360.5	8,493.0	71.3	66.3	83.3
ვალდებულებების კლება	3,868.3	0.0	3,868.3	3,868.2	0.0	3,868.2	100.0		100.0
ნაშთის ცვლილება	-23,015.6	-18,338.1	-4,677.5	-10,977.5	-7,492.2	-3,485.3			

თანხა ათას ლარში

ბიუჯეტის შემოსულობები სახეების მიხედვით:

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 131146.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 130262.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.3%.

თანხა ათას ლარში

	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	2023 წლის პროცენტული შესრულება
--	------------	-----------------	-----------------	--------------------------------

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი


შემოს. კლას. კოდი		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ %	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები %	საკუთარი შემოსავლები %
0	ჯამური	131,146.8	30,527.3	100,619.5	130,262.1	32,141.4	98,120.7	99.3	105.3	97.5
1	შემოსავლები	97,381.2	12,189.2	85,192.0	95,970.7	13,290.8	82,679.9	98.6	109.0	97.1
11	გადასახადები	66,540.8	0.0	66,540.8	67,917.8	0.0	67,917.8	102.1		102.1
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზარდზე	0.0	0.0		0.0					
113	გადასახადები ქონებაზე	11,000.0	0.0	11,000.0	12,461.4	0.0	12,461.4	113.3		113.3
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9,500.0	0.0	9,500.0	10,168.9		10,168.9	107.0		107.0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0		287.3		287.3			
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	100.0	0.0	100.0	770.6		770.6	770.6		770.6
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	0.0	0.0		2.0		2.0			
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1,400.0	0.0	1,400.0	1,232.6		1,232.6	88.0		88.0
114	გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	55,540.8	0.0	55,540.8	55,456.4	0.0	55,456.4	99.8		99.8
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	55,540.8		55,540.8	55,456.4		55,456.4	99.8		99.8
13	გრანტები	14,982.1	12,189.2	2,792.9	14,161.7	13,290.8	870.9	94.5	109.0	31.2
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	652.7	0.0	652.7	570.9		570.9	87.5		87.5
132	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0					

133	სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	14,329.4	12,189.2	2,140.2	13,590.8	13,290.8	300.0	94.8	109.0	14.0
133111	მიმდინარე	2,524.0	2,224.0	300.0	2,546.4	2,246.4	300.0	100.9	101.0	100.0
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0		0.0					
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	300.0		300.0	300.0		300.0	100.0		100.0
1331113	სპეციალური ტრანსფერი	2,224.0	2,224.0		2,246.4	2,246.4		101.0	101.0	
1332112	კაპიტალური	11,805.4	9,965.2	1,840.2	11,044.4	11,044.4		93.6	110.8	0.0
14	სხვა შემოსავლები	15,858.3	0.0	15,858.3	13,891.2	0.0	13,891.2	87.6		87.6
141	შემოსავლები საკუთრებიდან	1,495.0	0.0	1,495.0	1,003.2	0.0	1,003.2	67.1		67.1
1411	პროცენტი	1,000.0		1,000.0	594.5	0.0	594.5	59.5		59.5
141124	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	1,000.0		1,000.0	594.5		594.5	59.5		59.5
1412	დივიდენდები	100.0	0.0	100.0	35.1		35.1	35.1		35.1
1415	რენტა	395.0	0.0	395.0	373.6	0.0	373.6	94.6		94.6
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	245.0	0.0	245.0	247.4		247.4	101.0		101.0
14154	შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	150.0	0.0	150.0	126.2		126.2	84.1		84.1
14159	სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0		0.0					
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	6,835.0	0.0	6,835.0	6,236.6	0.0	6,236.6	91.2		91.2
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	6,135.0	0.0	6,135.0	5,638.8	0.0	5,638.8	91.9		91.9
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5.0	0.0	5.0	14.0		14.0	280.0		280.0
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,080.0	0.0	1,080.0	1,077.8		1,077.8	99.8		99.8

142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4,200.0	0.0	4,200.0	3,570.2		3,570.2	85.0		85.0
142215	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი	0.0	0.0		0.0					
14223	სანებართვო მოსაკრებლები	850.0	0.0	850.0	974.3		974.3	114.6		114.6
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0		0.0					
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0		2.5		2.5			
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	700.0	0.0	700.0	597.8		597.8	85.4		85.4
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	5,545.3	0.0	5,545.3	5,417.3	0.0	5,417.3	97.7		97.7
1431	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	5,195.3	0.0	5,195.3	5,099.7		5,099.7	98.2		98.2
1434	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	300.0	0.0	300.0	301.9		301.9	100.6		100.6
1439	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	50.0	0.0	50.0	15.7		15.7	31.4		31.4
144	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,983.0	0.0	1,983.0	1,234.1	0.0	1,234.1	62.2		62.2

144124	შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან	190.0	0.0	190.0	176.0		176.0	92.6		92.6
144127	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	440.0	0.0	440.0	455.1		455.1	103.4		103.4
1441299	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,353.0	0.0	1,353.0	603.0	0.0	603.0	44.6		44.6
14412994	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	400.0	0.0	400.0	317.2		317.2	79.3		79.3
14412999	წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები	0.0	0.0		4.2		4.2			
144129999	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	953.0	0.0	953.0	281.6		281.6	29.5		29.5
31	შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან	10,750.0	0.0	10,750.0	10,763.3	0.0	10,763.3	100.1		100.1
311	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	3,500.0	0.0	3,500.0	2,749.3		2,749.3	78.6		78.6
312	შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან	0.0	0.0		88.0		88.0			
3141	შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან	7,250.0	0.0	7,250.0	7,926.0		7,926.0	109.3		109.3
4	ნაშთები წლის დასაწყისისათვის	23,015.6	18,338.1	4,677.5	23,528.1	18,850.6	4,677.5	102.2	102.8	100.0

2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები სახეების მიხედვით



გადასახადები მთლიანი შემოსულობების 70.8%-ს (67917.8 ათასი ლარი) შეადგენს. იგი შედგება შემოსავლის 2 წყაროსგან: ქონების და დღგ-ს განაწილებიდან მისაღებ შემოსავლებად. ქონების გადასახადის სახით მიღებული 12461.4 ათასი ლარის შემოსავალი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქონებაზე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადახდილ ქონების გადასახადს. გადასახადების პროგნოზირებულ მაჩვენებლებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს განუსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც, ასევე ახორციელებს გადასახადების ადმინისტრირებას ბიუჯეტში. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული 55456.4 ათასი ლარი წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დღგ-ს განაწილებით მიღებულ სახსრებს.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 14.7%-ს (14161.7 ათასი ლარი) შეადგენს. იგი შედგება: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისაგან. მიზნობრივი ტრანსფერი - 300,0 ათასი ლარი; კაპიტალური ტრანსფერი - 11044.4 ათასი ლარი; სპეციალური ტრანსფერი -2246,4 ათასი

ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 570,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 14,5%-ს (13891,2 ათასი ლარი) შეადგენს. სხვა შემოსავლების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 5638,8 ათასი ლარი და სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 5417,3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებისგან - ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 8,3%-ს (10763,3 ათასი ლარი) შეადგენს.

ფინანსური აქტივების ცვლილებამ 2023 წლის განმავლობაში შეადგინა -10977,5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშებზე 2023 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის სახით ირიცხებოდა 23528,1 ათასი ლარი, ხოლო 2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 12550,6 ათასი ლარი.

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 131146,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 117711,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89,8%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 90771,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 86267,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 73,3%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 34867,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 27575,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79,1%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 23,4%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3868,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 3868,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 3,3%-ია.

დასახელება	2023 წლის გადასახდელების შესრულება		
	გეგმა	საკასო შესრულება	პროცენტი %
ხარჯები	92,412.0	88,989.8	93.4
შრომის ანაზღაურება	40,036.6	39,947.5	99.8
საქონელი და მომსახურება	22,608.8	21,485.0	91.2
პროცენტები	2,750.1	2,748.8	100.0
სუბსიდიები	8,721.7	8,673.0	99.6

გრანტები	260.8	260.7	95.2
სოციალური უზრუნველყოფა	6,874.9	6,530.1	95.0
სხვა ხარჯები	11,159.1	9,344.7	64.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	34,866.5	24,853.5	79.1
ვალდებულებები	3,868.3	3,868.2	100.0
სულ გადასახდელები	131,146.8	117,711.5	89,8%



„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 40036,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 39947,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 47.2%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 22608.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 21485.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 95%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 24.1%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2750,1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2748,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3,1%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8721,7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8673.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.4%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 9.7%-ს შეადგენს. „სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სატრანსპორტო კომპანია ;
- კალათბურთის განვითარება;
- ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის განვითარება;
- რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- სპორტული ღონისძიებები;
- კულტურის ღონისძიებები.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 260,8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 260.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.3%-ს შეადგენს. „გრანტების“ მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6874.9 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6530,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 95%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 7,6%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;

- მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 11159.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 9344.7 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 83.7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.5%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და სტიქიით დაზიანებული შენობების გამაგრების სამუშაოები
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები
- სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები.


➤ **აღებული ვალდებულებების** დასაფინანსებლად 2023 წლის ბიუჯეტიდან გადაირიცხა 3868,2 ათასი ლარი ძირის სახით, ხოლო პროცენტის სახით - 2748,8 ათასი ლარი. აქედან (2015–2025 წლები), ნიკვას ქუჩის რეაბილიტაციისათვის გადაირიცხა 530.7 ათას ლარი, ხოლო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ შორის ხელმოწერილი პროექტის ქონების გადაცემის ხელშეკრულების (2018–2026 წლები) შესაბამისად, დაიფარა ვალდებულება 97,7 ათას ლარის ოდენობით, ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის სამგზავრო ავტობუსებისა და მისი სათადარიგო ნაწილების გადაცემისათვის (2021–2029 წლები) გადაირიცხა 3239,9 ათას ლარი. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2024 წლის 1-ლი იანვრისათვის შეადგენს 20936,3 ათას ლარს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

თანხა ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
1	2	3	4	5
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	16,859.9	16,481.2	97.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11,294.2	11,134.5	98.6
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,750.1	2,748.8	100.0

7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2,815.6	2,597.9	92.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	14,232.0	13,274.7	93.3
7045	ტრანსპორტი	12,812.0	11,894.9	92.8
7047	ეკონომიკის სხვა დარგები			
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1420.0	1,379.8	97.2
705	გარემოს დაცვა	13,236.4	10,593.9	80.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	7190	7,147.0	99.4
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლადშაფტების დაცვა	6046.4	3,446.9	57.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	26,448.3	19,908.1	75.3
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,301.7	2,411.6	104.8
7064	გარეგანათება	3870.0	3,473.5	89.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	20276.6	14,023.0	69.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	2,249.0	2,101.5	93.4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	343.0	336.4	98.1
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1906.0	1,765.1	92.6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	26,866.2	24,994.2	93.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	15577.9	13,769.8	88.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	10855.3	10,812.0	99.6
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	165.0	145.5	88.2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	268.0	266.9	99.6
709	განათლება	21,642.5	21,093.2	97.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	19,126.5	19,113.7	99.9
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2,516.0	1,979.5	78.7
710	სოციალური დაცვა	5,744.2	5,396.5	93.9
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	5744.2	5,396.5	93.9
	სულ	127,278.5	113,843.3	89.4



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 16481,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (16859,9 ათასი ლარი) 97,8%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 14,5%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 11134,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (11294,2 ათასი ლარი) 98,6%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2748,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2597,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (2815,6 ათასი ლარი) 92,3%-ია.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 14232,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13274,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93,3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11,7%. მათ შორის:

- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 11894,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (12812,0 ათასი ლარი) 92,8%;

- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1379,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1420,0 ათასი ლარი) 97,2%-ს შეადგენს.

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 10593,9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13236,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 9,3%.

მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 7147,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (7190,0 ათასი ლარი) 99,4%-ია;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3446,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (6046,4 ათასი ლარი) 57%-ს შეადგენს.

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 26448,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 19908,1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 75,3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 17,5%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 2411,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (2301,7 ათასი ლარი) 104,8%-ს შეადგენს;
- ✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 3473,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3870,0 ათასი ლარი) 89,8%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 14023,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (20276,6 ათასი ლარი) 69,2%-ს შეადგენს.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 2249,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 2101,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93,4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 1,8%. მათ შორის:

- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 336,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (343,0 ათასი ლარი) 98,1%;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1765,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1906,0 ათასი ლარი) 92,6%-ს შეადგენს.

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 26866,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 24994,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 22%. მათ შორის:

- ✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 13769,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15577,9 ათასი ლარი) 88,4%;
- ✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 10812,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (10855,3 ათასი ლარი) 99,6%-ს შეადგენს;
- ✓ ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსდა 145,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (165,0 ათასი ლარი) 88,2%-ია.
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 266,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (268,0 ათასი ლარი) 99,6%-ს შეადგენს.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 21642,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 21093,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97,5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 18,5%. მათ შორის:

- ✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 19113,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (19126,5 ათასი ლარი) 99,9%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1979,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2516,0 ათასი ლარი) 78,7%-ს შეადგენს.

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 5744,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5396,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93,9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4,7%. მათ შორის:

- ✓ დაფინანსდა სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში.

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 1000,0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 943,9 ათასი ლარი. მათ შორის: ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N40გ -ში არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების ელ.ენერჯის დავალიანების თანადაფინანსების მიზნით დაიხარჯა 4,4 ათასი ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად გადარიცხა 3,0 ათასი ლარი; ქუთაისის საპატიო მოქალაქეების მატერიალური დახმარების მიზნით გადარიცხა 73,5 ათასი ლარი; მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის დაიხარჯა 863,0 ათასი ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი იქნა 204,8 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 204,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. აქედან **177,9** ათასი ლარი გადარიცხა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „სქაიჰაუსის“ სასარგებლოდ დაკისრებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე 2023 წლის 21 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ჩაერიცხა **3,6** ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქე ქეთევან ჯიბლაძის სასარგებლოდ გადარიცხა **2,1** ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქე ირაკლი ფურცხვანიძის სასარგებლოდ გადარიცხა **0,5** ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „კაპიტალ +“- ს სასარგებლოდ დაკისრებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით გადარიცხა **5,6** ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „ლამოდერნა“-ს სასარგებლოდ დაკისრებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით გადარიცხა **15,0** ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება- 31803,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (39260,3 ათასი ლარი) 81%-ია;
- ❖ განათლება -21093,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (21642,5 ათასი ლარი) 97,5%-ია;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 24848,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (26701,2 ათასი ლარი) 93,1%-ია;

- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა- 10593,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (13236,4 ათასი ლარი) 80%-ია;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 7498,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (7993,2 ათასი ლარი) 93,8%-ია;
- ❖ საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა- 11134,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (11294,2 ათასი ლარი) 98,6%-ია.
- ❖ ეკონომიკა - 1379,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (1420,0 ათასი ლარი) 97,2%-ია.

2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2023 წლის 27 დეკემბრის საკრებულოს N79 დადგენილებით. 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 4 ცვლილება და დაზუსტდა 150805.8 ათასი ლარით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის ფაქტობრივმა შემოსავალმა (ნაშთის/ფინანსური აქტივის გამოკლებით) 98956.4 ათასი ლარი შეადგინა,

ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები წარმოდგენილია ბალანსის სახით:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის ბალანსი

დასახელება	2024 წელი		
	დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	117,164.6	86,623.3	86,848.2
გადასახადები	73,310.8	56,853.0	57,742.8
გრანტები	27,293.8	18,564.3	18,316.5
სხვა შემოსავლები	16,560.0	11,206.0	10,788.9
ხარჯები	101,935.0	73,815.0	70,285.8
შრომის ანაზღაურება	45,433.3	31,500.0	31,493.4
საქონელი და მომსახურება	25,236.8	16,000.0	15,872.9
პროცენტი	2,255.5	2,500.0	2,016.5
სუბსიდიები	11,658.6	9,700.0	8,829.0
გრანტები	134.2	115.0	111.3
სოციალური უზრუნველყოფა	7,684.2	7,600.0	5,575.5
სხვა ხარჯები	9,532.4	6,400.0	6,387.2
საოპერაციო სალდო	15,229.6	12,808.3	16,562.4

არაფინანსური აქტივების ცვლილება	22,941.1	12,078.3	10,736.6
ზრდა	44,941.1	24,078.3	22,844.8
კლება	22,000.0	12,000.0	12,108.2
მთლიანი სალდო	-7,711.5	730.0	5,825.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-11,641.2	-3,000.0	2,099.1
ზრდა	0.0	0.0	7,410.8
აქციები და სხვა კაპიტალი			7,410.8
სხვა დებიტორული დავალიანებები			
კლება	11,641.2	3,000.0	5,311.7
აქციები და სხვა კაპიტალი	11,641.2	3,000.0	5,311.7
ვალდებულებების ცვლილება	-3,929.7	-3,730.0	-3,726.7
ზრდა			
კლება	3,929.7	3,730.0	3,726.7
საშინაო	3,929.7	3,730.0	3,726.7
ბალანსი	0.0	0.0	0.0

ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 9 თვის ფაქტიური შესრულება შეადგენს 104268.1 ათას ლარს, მათ შორის: შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 86848.2 ათასი ლარი შეადგინა; არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 12108.2 ათასი ლარი; ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 5311,7 ათას ლარს.

სახეების მიხედვით შემოსავლები შემდეგნაირად განაწილდა:

დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა	ფაქტობრივი შემოსავლები 9 თვეში	%
გადასახადები	56,853.0	57,742.8	101.6
გრანტები	18,564.3	18,316.5	98.7
სხვა შემოსავლები	11,206.0	10,788.9	96.3
სულ	86623,3	86848,2	100.3

გადასახადები

ქალაქ ქუთაისის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახადებიდან 9 თვეში შემოვიდა 57742.8 ათასი ლარი, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 45603.3 ათას ლარს.

გრანტები

2024 წლის 9 თვეში გრანტების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 18316.5 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი - 234.3 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 16146.9 ათასი ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტებიდან ჩაირიცხა 1935.3 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა შესრულებამ 9 თვეში 10788.9 ათასი ლარი შეადგინა:

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2024 წელი			
		დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	%
1.4	სხვა შემოსავლები	16,560.0	11,206.0	10,788.9	96.3
1.4.1	შემოსავლები საკუთრივიდან	1,270.0	800.0	713.3	89.2
1.4.1.1	პროცენტები	800.0	500.0	421.1	84.2
1.4.1.1.2.4	დეპოზიტზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	800.00	500.0	421.1	84.2
1.4.1.2	დივიდენდები	50.00			
1.4.1.5	რენტა	420.0	300.0	292.2	97.4
1.4.1.5.1	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	300.0	240.0	248.2	103.4
1.4.1.5.4	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვამი (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	120.0	60.0	44.0	73.3
1.4.2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	7,800.0	5,605.0	5,294.8	94.5
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	7,100.0	5,305.0	5,074.1	95.6

1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი				
1.4.2.2.13	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1100.0	825.0	739.2	89.6
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4200.0	3,100.0	2,917.1	94.1
1.4.2.2.15	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი				
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	1800.0	1,380.0	1,417.8	102.7
1.4.2.2.9	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი				
1.4.2.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი				
1.4.2.3	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	700.0	300.0	220.7	73.6
1.4.3	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	5,660.0	4,236.0	4,248.4	100.3
1.4.3.1	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	5300.0	4,000.0	4,002.9	100.1
1.4.3.4	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	300.0	230.0	240.8	104.7
1.4.3.9	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	60.0	6.0	4.7	78.3
1.4.4	ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,830.0	565.0	532.4	94.2
1.4.4.1.2.4	შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან	180.0	150.0	160.0	106.7
1.4.4.1.2.7	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	300.0	225.0	220.8	98%
1.4.4.1.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,350.0	190.0	151.6	79.8
1.4.4.1.2.99.4	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	500.0	100.0	65.1	65.1
1.4.4.1.2.99.9	წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები			11.8	
1.4.4.1.2.99.99	სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები	850.0	90.0	74.7	83.0

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში მობილიზებულია 248.2 ათასი ლარი, გეგმა (240.0 ათასი ლარი) შესრულდა 103,4%-ით.

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, ფაქტობრივად მიღებულია 44.0 ათასი ლარი, გეგმა (60,0 ათასი ლარი) შესრულდა 73.3%-ით.

სანებართვო მოსაკრებლებიდან 9 თვეში ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1417.8 ათასი ლარი, გეგმა (1380,0 ათასი ლარი) შესრულდა 102.7%-ით.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა განისაზღვრა 3100,0 ათასი ლარით, ფაქტობრივი შესრულება – 2917.1 ათასი ლარი (94.1%).

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება ბიუჯეტში შემოსულია 220.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (300.0 ათასი ლარი) 73.6%-ია.

ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4248.4 ათასი ლარი, გეგმა (4236.0 ათასი ლარი) შესრულდა 100,3%-ით.

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შესრულებას - 532.4 ათასი ლარი, გეგმა შეადგენს 565.0 ათას ლარს (94.2%).

არაფინანსური აქტივების კლება

2024 წლის 9 თვის მანძილზე არაფინანსური აქტივების კლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 12108.2 ათასი ლარი, აქედან ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოსულია 6074,4 ათასი ლარი და შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან ჩარიცხულია 6033,8 ათასი ლარი.

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2024 წელი			
		დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	%
31	შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან	22,000.0	12,000.0	12,108.2	100.9
31.1	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	5,000.0	5,000.0	6,074.4	121.5
31.2	მატერიალური მარაგები				
31.4	შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან	17,000.0	7,000.0	6,033.8	86.2

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 11641,2 ათას ლარს, აქედან III კვარტლის ხარჯებისა და შემოსავლების დაბალანსებისათვის გამოყენებულია 5311,7 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის 9 თვეში, ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 96857,3 ათასი ლარი.

2024 წლის 9 თვის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2024 წელი
------------	-----------

	დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის საკასო ხარჯი	%
გადასახდელები	150,805.8	101,623.3	96,857.3	95.3
ხარჯები	101,935.0	73,815.0	70,285.8	95.2
შრომის ანაზღაურება	45,433.3	31,500.0	31,493.4	100.0
საქონელი და მომსახურება	25,236.8	16,000.0	15,872.9	99.2
პროცენტი	2,255.5	2,500.0	2,016.5	80.7
სუბსიდიები	11,658.6	9,700.0	8,829.0	92.9
გრანტები	134.2	115.0	111.3	96.8
სოციალური უზრუნველყოფა	7,684.2	7,600.0	5,575.5	71.5
სხვა ხარჯები	9,532.4	6400.0	6,387.2	99.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	44,941.1	24,078.3	22,844.8	94.9
ვალდებულებების კლება	3,929.7	3,730.0	3,726.7	99.9

ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება:

N	დასახელება	2024 წელი			%
		დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	ფაქტი	
20	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ხარჯები	150,805.8	101,623.3	96,857.3	95.3
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	23,931.0	17,922.5	17,722.0	98.9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	12,399.3	9,230.0	9,153.6	99.2

01 01 01	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2,368.0	1,700.0	1,668.5	98.1
01 01 02	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	9,931.3	7,500.0	7,459.5	99.5
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური			0.0	
01 01 04	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება - გადამზადება	100.0	30.0	25.6	85.3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	11,531.7	8,692.5	8,568.4	98.6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	1,200.0	1,000.0	998.5	99.9
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	200.0	3.0	2.4	80.0
01 02 03	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მ.გ.ფ.)	6,185.2	5,760.0	5,743.3	99.7
01 02 04	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	200.0	130.0	125.3	96.4
01 02 06	საგრანტე პროგრამა escapeland - ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში	5.0	4.5	4.2	93.3
01 02 09	ააიპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია	1,409.3	1,050.0	1,019.1	97.1
01 02 10	საგრანტე პროგრამა - მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)	313.2	245.0	238.1	97.2
01 02 11	საგრანტე პროგრამა -ქუთაისი-ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის	1,610.6	500.0	437.5	87.5
01 02 12	EU4ITD - ქუთაისის, როგორც რეგიონის ტურისტული ჰაბის ცნობადობის ამაღლება შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის გზით	408.4	0.0	0.0	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	49,048.1	29,989.3	27,417.2	91.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,871.4	10,830.0	10,118.8	93.4
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	9,230.3	6,300.0	5,801.0	92.1
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	2,206.0	1,680.0	1,655.6	98.5
02 01 03	სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა	4,235.1	2,700.0	2,518.4	93.3
02 01 04	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების შეძენა-ექსპლოატაცია	200.0	150.0	143.8	95.9
02 03	გარე განათება	4,501.3	2,865.8	2,677.0	93.4
02 03 01	გარეგანათების ქსელის ექსპლუატაცია	4,501.3	2,865.8	2,677.0	93.4
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია	1,335.5	393.0	312.6	79,5

02 04 01	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია	217.6	120.0	105.5	87.9
02 04 02	ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	1,040.1	200.0	135.7	67.9
02 04 03	ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	77.8	73.0	71.4	97.8
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2,821.1	1,185.0	1,128.8	95.3
